საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჯებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 18 აპრილი, 2014 წელი.

№78 (7459)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

შორსმხედო, ზემაცქერალო...

აღდგომის მილოცვის სურვილით

უწმიდესო და უნეტარესო — ქართველთა სიხარულო, ერის ბედნიერებავ!..

დაბეჩავებულთა თავაღირებავ, უნათლოთა თვალისჩინო, უძლურთა ძლიერებავ, განწირულთა წყალობაო, მტლეო და სალბუნო ტკივილისაო...

მშიერთა დამპურებელო, მწყურვალთა დარწყულებავ!

ურწმუნოთა ემბაზო, ცოდვილთა სინანულო, მონანულთა სიხარულო!..

გზაო და წიგნო ჩვენო, სულის სიწმინდევ, გულის სითბოვ!..

მლოცველო და მებრძოლო, ნაზო და მკაცრო, თვალხილულო საოცრებავ — „ზეცისა კაცო და ქვეყანისა ანგელოზო“...

ჩვეულებრივის სასწაულად მქცევო — დღესასწაულთა მომწყობო;

შორსმხედო, ზემაცქერალო, მზედმაქცევარო, მზიანობავ სულისაო!..

ღვთის ტარიგო — სანთელო ანთებულო, დაუვსებელს დარებულო, დაუვსებლისაგან ნაფერებო, რჩეულთაგან გამორჩეულო — უწმიდესო, ჩვენო უწმიდესო! ჩემო უწმიდესო!

უდიდესი კრძალვითა და სიყვარულით, მუხლმოდრეკით ვუერთდები თქვენზე მსასოებელ, თქვენით დაიმედებულ ქართველობას და მათთან ერთად უფალს შევთხოვ თქვენი ჯანის სიმრთელეს, დიდი ხნის სიცოცხლეს! ამინ!

მუდამ თქვენთვის და თქვენზე მლოცველი
ასმათ ჯიქია

გულახდილი „ალიარება“

5

ალექსანდრე რონდელი:

თუკი ვინმეს რუსეთის დაშლა უნდა, ის არარაციონალურად აზროვნებს

4

„მაშინ ყველას ერთმანეთი გვიყვარდა“...

6

ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს!

ფურთხი ყველასთვის გვაქვს შემონახული, — ამის შესახებ განცხადება ირაკლი კაკაბაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. როგორც ირაკლი კაკაბაძემ აღნიშნა, ქართველი საზოგადოება დიდ სულიერ კრიზისშია და ეს აისახება მათ ეთიკურ მდგომარეობაზე.

— არ ვიცი, ირაკლი ზაქარეიშვილს რამდენად ვუწოდო ადამიანი. ეს არის ჩვენი სამარცხვინო მდგომარეობის შედეგი. ამიტომაც ჩვენ გავაგრძელებთ და პირდაპირი შტურმით შეტევაზე გადავალთ ასეთ უზნეო ადამიანებზე, ყველა ასეთ უზნეო პირზე, რომელიც ეთიკის ფარგლებზე ზემოთ აყენებს ფულს, — განაცხადა ირაკლი კაკაბაძემ. მისივე თქმით, ვერ დაუშვებს საქართველოში ფაშიზმისა და ავტორიტარიზმის გამარჯვებას.

— ჩვენ გადავალთ პირდაპირი მნიშვნელობით შეტევაზე. სასამართლოს საშუალებით და სასამართლოს ფარგლებს გარეთაც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ „ნაციონალებმა“, სააკაშვილიდან დაწყებული, რიგითი „ნაციონალით“ დამთავრებული, სულ ნეხვში იცურაონ მთელი ცხოვრების მანძილზე, სანამ არ მოინანიებენ თავიანთ დანაშაულს ქართველი ერის წინაშე. ისეთ ქაქში ვაბანავებთ ყველა მათგანს და ისე მოულოდნელად, გამომგონებლურად, რომ შეიძლება თვითონაც მოეწონოთ, — განაცხადა ირაკლი კაკაბაძემ. ირაკლი კაკაბაძე ხელისუფლებისგან მოითხოვს „ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლებას.

— მოვითხოვ, გასამართლდნენ ეს დამნაშავეები. ბოლო გაფრთხილება ხელისუფლებას, რომ დასაჯონ ისინი, თუ არადა, მათ ჩვენ დავსჯით, — განაცხადა ირაკლი კაკაბაძემ.

გუშინ საქალაქო სასამართლოში ინციდენტი სანდრო გირგვლიანის საქმეზე პროცესის გადადების შემდეგ მოხდა. დარბაზიდან გამოსულ ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს სანდრო გირგვლიანის მამასთან ერთად დარბაზთან მისულმა პირებმა, ირაკლი კაკაბაძემ და სხვებმა. მათი პროტესტის მიზეზი ზაქარეიშვილის ლევან ბუხაიძესთან დაკავშირებული განცხადებები გახდა.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ქართველ ადამიანს ურჩევნია, თვითონ დაიჩაგროს თავი, ვიდრე სხვა

ძართველი ხალხის რწმენას ვერანაირი სხვა ძალა ვერ შეცვლის, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ გუშინ ყოვლადწმინდა სამების ტაძარში წირვის დასრულების შემდეგ, ქადაგებისას ბრძანა.

პატრიარქმა სამებაში დიდი ხუთშაბათის დღესასწაულთან დაკავშირებით ფეხთბანვის წესი აღასრულა, რომლის დროსაც 12 მღვდელთმსახურს ფეხი დაბანა.

ფეხთბანის წესის შემდეგ პატრიარქმა მრევლს ქადაგებით მიმართა და თავმდაბლობისა და სიწმინდის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რომლითაც ადამიანი უფლის მადლის მიმღები ხდება.

„ღვთის წყალობა და მადლი მიდის იმ ადამიანზე, რომელსაც აქვს თავმდაბლობა, მორჩილება, სიწმინდე, სარწმუნოება. ქართველი ადამიანი ოდითგანვე ფიქრობს და ცდილობს, შეინარჩუნოს სარწმუნოება მტკიცედ. ქართველი ადამიანი არავის არ ჩაგრავს. ქართველ ადამიანს ურჩევნია, თვითონ დაიჩაგროს თავი, ვიდრე — სხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ სიწმინდეს, სარწმუნოებას, რომელიც ჩვენ გაქვს, რომლითაც ცხოვრობდა და ცხოვრობს ქართველი ხალხი, ვერავინ ვერ შეცვლის, ვერავითარი სხვა რწმენა. სარწმუნოება მოდის ღვთისაგან და ეფინება ადამიანს. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ეს სარწმუნოება დღემდე გვაქვს და გვექნება კიდევ. ჯვარი გეწეროთ. ღმერთმა მოგცეთ მადლი და წყალობა. ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაუთენოს მთელს საქართველოს. ამინ, — ბრძანა ქადაგებისას პატრიარქმა.

„თავს დაცულად არ ვგრძნობთ“

„უკრაინაში რუსეთის მოქმედებების შემდეგ საქართველო თავს ნაკლებად დაცულად გრძნობს“ — ამ სათაურით სტატიას „როიტერი“ აქვეყნებს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს ესაუბრა.

პრეზიდენტის თქმით, უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ საქართველო მისი უსაფრთხოების გამო უფრო შეშფოთებულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში 6 წლის წინ რუსეთის ინტერვენცია განხორციელდა.

მარგველაშვილის განცხადებით, საქართველო გეგმავს მოაწეროს ხელი ასოცირების შეთანხმებას ივნისში, რათა განამტკიცოს კავშირები ევროკავშირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგივე შეთანხმების გაფორმების მცდელობამ უკრაინაში კრიზისი გააჩაღა.

„ჩვენ არ ვგრძნობთ საკუთარ თავს დაცულად, რადგანაც ზოგიერთი ძირითადი საშუალება, რითიც ქვეყნები ერთმანეთს უკავშირდებიან, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. საქართველო, რომელიც გახდა რუსეთის ძალიან მკაცრი საგარეო პოლიტიკის მსხვერპლი ექვსი წლის წინათ და რომელსაც ჯერ კიდევ ძალიან რთული ურთიერთობა აქვს რუსეთის ფედერაციასთან, ბუნებრივია, ძალიან შეშფოთებულია უკრაინის პრეცედენტის გამო“, — აცხადებს მარგველაშვილი.

◎ ნატოს კვირეული

რას მოგვიტანს ნატოსთან დაახლოება?



2014 წლის აპრილში საქართველო ნატოს კვირეულს მასპინძლობდა. კვირეულის ფარგლებში ძალზე ბევრი დისკუსია გაიმართა იმ უპირატესობების ირგვლივ, რაც აქვს ნატოსთან დაახლოებას ქვეყნის უსაფრთხოებისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის. ამ დროს, ფაქტობრივად, თითქმის არ — ან ძალიან ცოტას — ლაპარაკობენ ნატოსთან დაახლოების ეკონომიკურ სარგებელსა და ფასზე. ჩვენი დღევანდელი მიზანი სწორედ ეკონომიკისა და ნატოს ურთიერთკავშირის გამოკვეთაა.

პირველი, რითაც მნიშვნელოვანია ნატოსთან დაახლოება ქვეყნისთვის, მისი უსაფრთხოების გარანტიების შექმნაა; უსაფრთხოებასა და სტაბილურობას კი თავისი ეკონომიკური ღირებულება აქვს — იგი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქვეყნის რისკების მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად, რაც, თავის მხრივ, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე აისახება; საგარეო ინვესტიციები კი ნებისმიერი — განსაკუთრებით, საქართველოს ტიპის გარდამავალი ეკონომიკის — ქვეყნისთვის განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

საინვესტიციო კლიმატის მხრივ, ერთი შეხედვით, საქართველოს ცუდად არ უნდა ჰქონდეს საქმე — მაგალითად, ქვეყანას წამყვანი რეიტინგები აქვს ბიზნესის დაწყების სიიოლის თვალსაზრისით. აქ გაცილებით ნაკლები დრო სჭირდება კომპანიის დარეგისტრირებას, ვიდრე, მაგალითად, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში: საქართველოში ბიზნესის დაწყებად საკმარისია 4 დღე, მაშინ როდესაც პოლონეთში ამისათვის საჭიროა 33 დღე, საბერძნეთში — 22 დღე, ბულგარეთში — 20 დღე და ა.შ. კორუფციის აღქმის მაჩვენებლის მიხედვითაც, 2013 წელს საქართველო 51-ე ადგილზეა და ნატოსა და ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყანას უსწრებს — მაგალითად, ხორვატიას და ჩეხეთის რესპუბლიკას, რომლებიც 57-ე ადგილს იყოფენ, სლოვაკეთს (61-ე ადგილი), იტალიასა და რუმინეთს, რომლებიც 69-ე ადგილს იყოფენ, ბულგარეთს (77-ე ადგილი) და საბერძნეთს (მე-80 ადგილი). საკმაოდ ლიბერალურია საქართველოში საგადასახადო კოდექსიც, ნაკლებია ბიუროკრატიული წინაღობები და ა.შ.

ამ ფონზე ცხადი ხდება, რომ ინვესტიციების მასშტაბის ზრდას საქართველოში ძირითადად პოლიტიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები აფერხებს. ნატოში ინტეგრაცია, ამ თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი სიგნალია.

მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რომლებიც 1999 წელს გაერთიანდნენ ნატოში, 2004 წელს კი — ევროკავშირში; ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი, სლოვენია, რომლებიც 2004 წელს როგორც ნატოში, ასევე ევროკავშირში გაწევრიანდნენ, და რუმინეთი და ბულგარეთი, რომლებიც 2004 წელს ნატოში, 2007 წელს კი ევროკავშირში გაწევრიანდნენ. მათ ნაწილს, როგორც ვთქვით, ზოგიერთ რეიტინგში დღესაც საქართველოზე უარესი მაჩვენებელი აქვს.

არადა, დინამიკა გვაჩვენებს, რომ ინვესტიციებმა ნატოში გაწევრიანებისთანავე, მომენტალურად დაიწყო ზრდა, მიუხედავად იმისა, ნატოსთან ერთად ევროკავშირის წევრიც გახდა თუ არა სახელმწიფო, თუმცა, ცხადია, ევროკავშირის წევრობა დამატებითი არგუმენტი იყო უცხოელი ინვესტორებისთვის. უკვე შემდგომი ანალიზი კი აჩვენებს, რომ ქვეყნებში, სადაც ნატოში ინტეგრირება მოხდა და პარალელურად მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი რეფორმებიც განხორციელდა, პროგრესი უფრო საგრძნობია.

საინვესტიციო ზრდა, დაფუძნებული უსაფრთხოების გარანტიებზე, ნატოს ეკონომიკური ეფექტის მხოლოდ ერთი ნაწილია. გამომდინარე იქიდან, რომ ნატოსთან ინტეგრაცია მთელი რიგი ეკონომიკური სტანდარტების სრულყოფასა და ინსტიტუციონალურ განვითარებას გულისხმობს, იგი აისახება ქვეყანაში საკუთრებისა და ბიზნესის დაცულობაზე, კონკურენტული გარემოს შექმნასა და, შესაბამისად, ბიზნესის განვითარების მაჩვენებელზე, უმუშევრობის შემცირებაზე; თავის მხრივ, ეს ზრდის მოსახლეობის სიმდიდრის მაჩვენებელსაც და მისი ცხოვრების დონესაც.

ნინო ევგენიძე
რადიო „თავისუფლება“

◎ წინასაარჩევნო ლაფსუსები

არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება ბურჯანაძის გამო ჩაიშალა

დაბნევნებული ერთიანი ოპოზიციური ფრონტი ვერ შედგა. არასაპარლამენტო ოპოზიციამ თვითმმართველობის არჩევნებისთვის კოალიციის შექმნა ვერ მოახერხა. არადა, თავის დროზე ისინი იუწყებოდნენ, რომ მათთვის პრიორიტეტი ბურჯანაძის ძალასთან გაერთიანება იქნებოდა. იმთავითვე გამონაკლისნი იყვნენ ლეიბორისტები, რომლებიც ტრადიციულად არცერთ პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებას არ აპირებდნენ.

ერთიანი ოპოზიციური ფრონტის იდეის ჩაშლის შემდეგ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** აცხადებდა, რომ გაერთიანების ინიციატივას სხვა პარტიები სათანადოდ ვერ გამოეხმაურნენ და ერთიანობის მცდელობაც ამის გამო ჩაიშალა.

სამაგიეროდ, **მივიღეთ ეკლექტური, პოლიტიკური პლატფორმით განსხვავებული ალოგიკური ბლოკები — ბურჯანაძე-ქდმ-„ქართული დასის“ გაერთიანება და „მემარჯვენეებისა“ და კახა კუკავას პარტიების ტანდემი, თავ-თავიანთი ქალაქის მერობის კანდიდატებით - დიმიტრი ლორთქიფანიძისა და კახა კუკავას სახით.**

რატომ ვერ მოახერხა გაერთიანება არასაპარლამენტო ოპოზიციამ? რას მოუტანს მათ ძალების დაქსაქსვა და ორი განსხვავებული ბლოკის შექმნა და რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ამ არჩევნებში მათ ერთმანეთს ხმები გაუყონ?

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ- ერთი ლიდერი **მამუკა კაციტაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მათი სურვილი იყო ერთიანი წინასაარჩევნო ბლოკის შექმნა „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ორპოლუსიანი პოლიტიკის წინააღმდეგ, თუმცა, ამის რეალიზება ვერ მოხერხდა ნინო ბურჯანაძის ფაქტორის გამო.

„ქალბატონმა ბურჯანაძემ გადაწყვიტა, საკუთარი პარტიის სტრუქტურაში შეეერთებინა და შეეწოვა ცალკეული პარტიები. პრაქტიკულად, მან უარი თქვა პოლიტიკური პარტიების გაერთიანებაზე ერთ ბლოკში. მან სხვა პარტიებს, არც მეტი, არც ნაკლები, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია შესთავაზა. ეს ნიშნავდა გაუქმებას და ბურჯანაძის პარტიაში შესვლას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეურაცხმყოფელია, როდესაც ეუბნები პარტიას, რომ შენ უნდა გაუქმდე და ჩემთან მოდი, როგორც ფიზიკური პირი. ასეთმა დამოკიდებულებამ ეს ერთობა ჩაშალა. არასაპარლამენტო ოპოზიციის ძალისხმევის გაუერთიანებლობის მიზეზი სწორედ საკუთარი პარტიული ინტერესების წინ დაყენება იყო. ბუნებრივია, კონკურენციისას ეს ხმები გადანაწილდება და ერთმანეთს ხმებს წაართმევენ ეს ბლოკები, მაგრამ ხმები არ წავა „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობისკენ. უბრალოდ, ვერ განხორციელდება ელექტორატის სინერგია. სიტყვაზე, თუ ორივეს ერთად უნდა აეღო 30 %, ახლა შეიძლება, აიღონ 15-15%, ან 13 % და 17 %“, — აღნიშნა მამუკა კაციტაძემ.

აქვე განმარტა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის მერობის კანდიდატი კახა კუკავა დღესაც მზადაა, პოლიტიკური პარტიების გაერთიანებისა და წინასაარჩევნო ბლოკის შექმნის სანაცვლოდ, მოხსნას საკუთარი კანდიდატურა თბილისის მერის პოსტზე. რატომღაც ისინი დღემდე ელიან, რომ ჩამოყალიბდებიან ნინო ბურჯანაძე და სხვებიც, რათა შეიქმნას წინასაარჩევნო პოლიტიკური ბლოკი და შეჯერდნენ მერობის ერთიან კანდიდატზე. ამიტომაც არავისთვის დაუსწრიათ მერობის კანდიდატის დასახელება.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** განმარტავს, რომ რთულია იმ მიზეზებზე საუბარი, რატომ ვერ მოხერხდა ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნა.

„თუ ამის მიზეზი მერობის კანდიდატზე შეუთანხმებლობა იყო, მაშინ ეს ძალზე ცუდი იქნებოდა. ვფიქრობ, დიმიტრი ლორთქიფანიძის სახით, საკმაოდ კარგი კანდიდატურაა შერჩეული. არაფერი მაქვს კახა კუკავას საწინააღმდეგო, მაგრამ ამ შემთხვევაში, გაერთიანებული ოპოზიცია თუ იქნებოდა, სჯობდა სწორედ ისეთი კანდიდატის დასახელება, რომლის უკანაც პარტიული სტრუქტურები არ იდგა და იგი სხვა პარტიული კოალიციის გამაერთიანებლად და შემაკავშირებლად წარმოჩნდებოდა. ამ ფაქტორიდან გამომდინარე, ოპოზიციისთვის კარგი კანდიდატურა იქნებოდა დიმიტრი ლორთქიფანიძე. თუმცა, მაინც არა მგონია, ეს ყოფილიყო გადამწყვეტი მიზეზი. ამ გაყოფით დაზარალდა არასაპარლამენტო ოპოზიციის ორივე ნაწილი, როგორც ბურჯანაძე და მის ირგვლივ შეკრებილი კოალიცია, ისე „ახალი მემარჯვენეები“ და კუკავას პარტიის გაერთიანება. ბუნებრივია, ისინი ერთმანეთს ხმებს გაუყოფენ და ძლიერი მესამე ოპოზიციური ცენტრის შექმნაც ოცნებად დარჩა. ეს საკმაოდ დიდი პოლიტიკური შეცდომაა პარლამენტს გარეთ არსებული ოპოზიციისთვის“, — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

ამასთან, მიიჩნევს, რომ ამომრჩევლის თვალში საჭირო იყო ძლიერი ერთიანობის წარმოჩენა. ეს გაცილებით მეტ ხმას მოიტანდა. ასეთი გაერთიანებით კოალიცია შეძლებდა ერთიანობის შენარჩუნებას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში და ექნებოდათ რეალური შანსი, ებრძოლათ არა ოპოზიციის ადგილისთვის, არამედ რეალურად ხელისუფლებისთვის. ასეთმა დაქსაქსვამ კი, შესაძლოა, ამომრჩეველთა 10% მაინც დააკარგვინოს არასაპარლამენტო ოპოზიციას.

„დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალური მდივანი **ზაზა ვეკუა** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ დღევანდელი რეიტინგებით და საპრეზიდენტო არჩევნებიდან გამომდინარე, შეიქმნა რეალურად ერთიანი ოპოზიცია, რომელიც არა მარტო ადგილობრივ, არამედ საპარლამენტო არჩევნებშიც ერთიან კოალიციაში იქნება.

„რამდენიმე ატრიბუტია საჭირო იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მოხვიდე, მათ შორის, ერთი მთავარი, რაც აქვთ „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს გახლავთ კომისიების წევრები. საპარლამენტო არჩევნების დროს უკვე აღარ არის იმის ფუფუნება, შორიდან ვუყუროთ, როგორ ითვლის ეს ორი პარტია უბნებზე ხმებს. ამიტომ სხვა პარტიებს შევთავაზეთ, ან რომელიმე ერთი პარტიის სახელით გავსულიყავით, ან შეგვექმნა ისეთი ბლოკი, რომელიც არჩევნების შემდეგ გაერთიანდებოდა. შეთავაზება ისიც იყო, რომ საერთოდ სულ სხვა ახალი პარტიის გარშემო ხომ არ გავერთიანებულიყავით, რომ არ გვქონოდა ამბიცია. შესაბამისად, დაფინანსებაც გაერთიანდებოდა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პარტიის კომისიის წევრებს ამოვაგდებდით და გვეყოლებოდა ჩვენი კომისიის წევრი. აქ მთავარი იყო, ერთ პარტიას ჰქონოდა ეს დაფინანსება, რადგან მასზე მიბმული იქნებოდა წევრი საარჩევნო კომისიაში. ეს იყო ჩვენი ამოსავალი. ჩვენ ვთქვით კიდეც, იმ პარტიებმა, რომლებიც თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას და არა სხვისი კარნახით, შეუძლებელია თქვან ჩვენს შეთავაზებაზე უარი. ჩვენ გავაკეთეთ ერთიანი ოპოზიცია, ჩვენს შემდეგ კი შეიქმნა ორი ბლოკი- დავითაია-ჯავახაძის და „მემარჯვენე“-კუკავასი. თქვენ ნახავთ, ამ არჩევნებზე ჩვენთან ხმების გასაყოფი კუკავას და სხვებს არაფერი ექნებათ“, — აცხადებს ზაზა ვეკუა.

მანანა ნოზაძე

გზა მომავლისა

ბაზეთის მკითხველს უთუოდ ემახსოვრება თენგიზ აბულაძის შესანიშნავი ფილმის „მონანიების“ ფინალური ეპიზოდი, სადაც დიდი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის პერსონაჟი კითხულობს: „ეს გზა ტაძრამდე მიმიყვანს?“ და როდესაც უპასუხებენ, არა, ეს გზა ტაძრისკენ არ მიდისო, გაოცებული იტყვის: აბა რად გვინდა ისეთი გზა, რომელიც ტაძრამდე არ მიგვიყვანსო.

სრულიად აშკარაა, ფილმის ავტორები ტაძრის ცნებაში რომელიმე კონკრეტულ ეკლესიასა თუ სამლოცველოს არ გულისხმობენ. ამ შემთხვევაში ტაძარი გადარჩენის, ხსნის, ჭეშმარიტების სიმბოლოა, და, მართლაც, გაჭირვებული კაცისათვის რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ გზას, რომელიც გაჭირვებიდან ვერ ამოიყვანს მას?

ძალიან დალხინებული კაცები, რომლებმაც ყველა ხორციელი სურვილი შეისრულეს და, ამავე დროს, სულიერებასთან ირიბი შეხებაც არ აქვთ, ხშირად დაადგებიან ხოლმე ისეთ გზას, რომელიც გაურკვევლობაში მიდის. მათ გადარჩენის პრობლემა კი არ აწუხებთ, მძაფრი განცდები სწყურიათ. გაურკვევლობაში თავით გადაშვება სწორედ მძაფრ განცდებს უკავშირდება და რითი მთავრდება ეს ყოველივე, ყველას კარგად მოეხსენება.

ჩვენ გაჭირვებული ქვეყანა ვართ. ჩვენი გაჭირვება იმდენად მატერიალური სიღარიბისაგან კი არ არის გამოწვეული, რამდენადაც უმეცრებისაგან: არ ვიცით, საით მივდივავრთ, მივდივართ თუ არა საერთოდ და, თუ მივდივართ, რატომ მივდივართ.

აგერ უკვე ორი ათეული წელია ჩვენი, ერთმანეთისაგან, თითქოს, რადიკალურად განსხვავებული ხელისუფლებები დაბეჯითებით გვარწმუნებენ, ჩვენს მშობლიურ ევროპაში ვბრუნდებით და „ნატოა“ ჩვენი სახლიო. როგორც კი ამ სახლში შევალთ, მგელი ვეღარაფერს დაგვაკლებსო.

ერთი პირობა კი გაოგნდა ხალხი, აწ გარდაცვლილმა პრემიერ-მინისტრმა რომ განაცხადა ევროპული ორგანიზაციის ტრიბუნიდან: მე ქართველი ვარ, მაშასადამე ვარ ევროპელიო. ჩემს ქართველობას, ნეტავი, „მაშასადამე“ რაღაში სჭირდებაო, — უკვირდათ. იმის მერეა, რომ ჩვენი ხელისუფლები დასავლეთელი ძიებისაგან, რომლებსაც „ნატოს“ კარის გასაღები აქვთ ჯიბეში, ხან მაპს ელოდებიან და ხან ტყლაპს. მაპისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ტყლაპს ხშირად გვაძლევენ, ხან შეშფოთებით, ხან აღშფოთებით და ვართ ასე, მჟავე ტყლაპის ლოკვით ენაგატყაულები. ჩვენი სახელმწიფოს მატარებელი კი, ხელისუფლების მტკიცებით, „ბედნიერი ევროპისაკენ“ მიექანება, მაგრამ მისი ვაგონის ფანჯრებიდან, რატომღაც, მხოლოდ ქსნის შემოგარენი ჩანს მხოლოდ.

ბოლოს და ბოლოს, მგზავრებმა მეათასედ რომ იკითხეს, ხაშურში ვართ თუ არაო, საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მატარებელი არსადაც არ მიდის და სათადარიგო ჩიხის დაჟანგებულ რელსებზეა გახიდული.

მართალია, სახელმწიფო ვერსად წაიყვანეს ჩვენმა ხელისუფლებმა, მაგრამ ის კი მოახერხეს, რომ ხალხისთვის ჩაეგონებინათ წასვლის აუცილებლობა. მადლობა ღმერთს, ყველამ არა, მაგრამ ნაწილმა დაიჯერა, რომ ბედნიერებას რომ ეწიო, უნდა წახვიდე. ცოლოურში თუ წახვალ უკეთესია, თუმცა, ეს „ცოლოური“ ბახვში ან ობუჯში, ობშკვითში ან წნორში კი არ უნდა იყოს, არამედ უცხო ქვეყანაში, უმჯობესია „ფირმაში“ (ფირმას დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს უწოდებენ გასაქცევად გამზადებული ჩვენი თანამემამულენი). განსაკუთრებით მოზარდებმა დაიჯერეს ეს. ერთი სული აქვთ, როდის გაიქცევიან თავიანთი სამშობლოდან და დგას რიგები იტალიისა და გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის საელჩოებთან: ზოგი სამუშაოდ მიდის, ზოგი — სასწავლებლად, ზოგი (უმეტესობა!) ისე, ბედის საძიებლად.

ვისაც „ბედმა გაუღიმა“ და უცხოეთში ოჯახი შექმნა (დაქორწინდა ან გათხოვდა!), მყარად დამკვიდრდა აყვავებულ (თუ დაყვავილებულ) ქვეყანაში — მის მოქალაქეობას ეღირსა. ბედმა გაუღიმათ, ვითომ, ასეთ ქართველებს?

ერთი ჩემი მეგობრის ერთობ ნიჭიერი ვაჟი სასწავლებლად „ფირმაში“ წავიდა, დიდი წარმატებით დაამთავრა იქაური საუნივერსიტეტო განათლების ყველა საფეხური, იქვე დატოვეს სამუშაოდ და ცოლიც იქაური ქალი შეირთო. გაუჩნდათ შვილები. ამას წინათ ის მეგობარი შემხვდა. ვკითხე, უცხოეთში მცხოვრები შვილის ოჯახში ხომ არ ჩასულხარ-მეთქი სტუმრად. ახლახან ვიყავით მე და ჩემი მეუღლეო. აბა, კარგ დროს გააატარებდით, თქვენი პატივისცემა არ გაუჭირდებოდათ-მეთქი. შევატყვე თვალები ცრემლებით აევსო: რა თავში ვიხლი სიმდიდრეს, როცა შვილიშვილებს თარჯიმნის გარეშე ვერ დავლაპარაკებივარო.

მეტი საქმე არ ჰქონდა მის ფრანგ რძალს, ქმრის სამშობლოს პატივსაცემად ქართული ესწავლა, ან შვილებისთვის ესწავლებინა. ისიც, სანდრა რულოვსივით, ცერეუს მოგზავნილი ხომ არ იყო.

იმ ჩემი მეგობრის შვილს, ცხადია, შვილებთან თარჯიმანი არ დასჭირდება, მაგრამ არა მგონია, სიბერე ბედნიერი ჰქონდეს, რადგან, **როგორც ერთმა პოეტმა ბრძანა, უბედურებაა:**

„როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო
და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი“.

აი, ასე მიდიან და მიდიან ქართველები „მოუსავლეთში“, მცირდება და მცირდება საქართველო ვაიდაუიპოლიტიკოსების ხელში, როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობის რიცხოვნობით.

სწორ გზაზე არ დგას ქვეყანა და ამიტომ!

იმის იმედი რომ არსებობდეს, აქედან „გაქცეულები“ სხვაგან შექმნიან ახალ საქართველოებს, როგორც ინგლისელმა „გაქცეულებმა“ გააკეთეს ეს, კიდევ გულს გაიმაგრებდა კაცი. სხვაგან კი არა, მანამდე ივიწყებენ ქართველები თავიანთ სამშობლოს, ვიდრე წავლენ. თუ ღმერთმა ქნა და რომელიმე მათგანი უკან დაბრუნდა, ტვინ და გულგამოცვლილია მაშინ და იმის ცდაშია, თავისნაირად როგორ გადააგვაროს აქ დარჩენილი სამშობლო.

აგერ გვაქვს მაგალითი: ნაცების ყოფილი ხელისუფლება, რომლის ბოსებს დაბნელება (მათი აზრით, განათლება!) უცხოეთში ჰქონდათ მიღებული, იმას კი არ ცდილობდნენ, საქართველო ავაყვავოთო, გინდათ თუ არა, სინგაპურად უნდა გადავაქციოთ ჩვენი სამშობლოო.

სამშობლოს განცდა აღარ აქვთ და იმიტომ!

ის გზა, რომელსაც აგერ უკვე ორი ათეული წელია საქართველოს მომავლის გზად მიიჩნევენ ჩვენი ხელისუფალნი და მათი უცხოელი პატრონმფლობელები, მოუსავლეთში მიდის იმ გვირაბით, რომლის ბოლოში სინათლე არც ჩანს და არც გამოჩნდება.

დიდი პოლიტიკოსობა და ეკონომისტობა არ სჭირდება იმის გაგებას, რომ ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა ნულის ტოლია.

ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკა, ფაქტობრივად, არ არსებობს. ასეთი არარსებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა, როგორ მოახერხებს ინტეგრაციას ევროპასთან, რომელიც „ჩვენი ოჯახიაო“, ბაიყუშებივით იმეორებენ ჩვენი „ჭკუის კოლოფები“. ჩვენნაირი ეკონომიკის პატრონებს ამ „ევროპულ ოჯახში“ სრულუფლებიან წევრად არავინ მიგვიღებს, ხელზე მოსამსახურედ — კი. უნდა კი საქართველოს სხვათა „ხელის ბიჭობა?“ ვითომ სრულად და საბოლოოდ დავკარგეთ ღირსება?

არა! ბევრ ღირსეულ ქართველს ვიცნობ და, დარწმუნებული ვარ, ბევრად უფრო მეტს არ ვიცნობ. ამიტომ, აუცილებლად უნდა მოვნახოთ ის გზა, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს — გზა მომავლისა.

ჩემი ფიქრით, ბევრი უბედურება იმიტომ გვჭირს, რომ წარსულის გამოცდილებას ადვილად ვივიწყებთ და ამიტომ ერთსა და იმავე შეცდომას ზედიზედ ვუშვებთ ხოლმე. სამწუხაროდ, სხვები რომ სხვის შეცდომებზე სწავლობენ, ჩვენ საკუთარ შეცდომებზე სწავლაც გვიჭირს.

ჩვენს წინაპრებს შემთხვევით და ჰაიჰარად კი არ უთქვამთ „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“. მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ ათქმევინათ ეს. სულაც არ ნიშნავს ეს დარიგება იმას, რომ მხოლოდ ერთხელ გატკეპნილი გზით იარეთო. არა, ახალი, უფრო რაციონალური გზებიც უნდა ეძებოთ, მაგრამ, როცა ახლადარჩეული გზა გაუვალ ჭაობთან მიგვიყვანს, „პრინციპულობის“ საბაბით ჭაობში კი არ უნდა შეტოპო და ჩაიხრჩო, უკან უნდა გამობრუნდე და ძველი, ნაცადი გზით წახვიდე, მიზანთან მშვიდობით მისვლა თუ გინდა.

ისტორიის ქარტეხილებში ბევრი გზა სცადეს ჩვენმა წინაპრებმა, სამშვიდობოს რომ გაეყვანათ ქვეყანა. არ ივარგა არც ერთმა, მათ შორის ევროპულმაც. გახსოვდთ, ალბათ, მუხრან მაჭავარიანის ეს სტრიქონები: საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV კარზე დახმარების სათხოვნელად მისული სულხან-საბა მეფემ „ალოდინა და მეთხუთმეტე კაცად მიიღო“. მხატვრული ტექსტი მოითხოვდა, რომ პოეტს ეთქვა ლუდოვიკო XIV სულხან-საბა მეთხუთმეტე კაცად მიიღო, თორემ მეთხუთმეტედ კი არა, მგონი ასმეთხუთმეტედ მიიღო და თან ხელცარიელი გამოისტუმრა.

და როცა ქართლ-კახეთის მოსახლეობა XVIII საუკუნის ბოლოსათვის ნახევარ მილიონამდე შემცირდა, ქართველებმა მტკიცედ და საბოლოოდ აირჩიეს ახალი გზა — ერთმორწმუნე რუსეთისკენ.

მისაყვედურებს ზოგიერთი ურაპატრიოტი (ან ფსევდოპატრიოტი!) ალბათ: ეგ რა გზა იყო, რომელზეც დამოუკიდებლობა დავკარგეთო.

ჯერ ის ვიკითხოთ, გვქონდა კი დამოუკიდებლობა? გიორგი ბრწყინვალეს მეფობის შემდეგ გარეშე მტრებმა ისე ააოხრეს საქართველო (განსაკუთრებით, თემურ ლენგის შემოსევებმა), რომ შემდგომში წელში ვეღარ გასწორდა. მერე იყო და, **აოხრებულ ქვეყანაში გარეშე და შინაური მტრების მეცადინეობით, სეპარატიზმი აავავდა. ქართლი, კახეთი და იმერეთი ცალკე სამეფოებად ჩამოყალიბდა და მათ შორის ომებიც იშვიათი როდი იყო. „დამოუკიდებლობა“ მოიპოვეს სამცხე-საათაბაგომ, სამეგრელომ, აფხაზეთმა, გურიამ. აჭარა სულაც თურქეთმა წაიღო. რაც შეეხება მთიან საქართველოს, ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი ხან კახეთის მოკავშირეობაზე დებდნენ თავს, ხან ქართლისა და მათ ომებში მონაწილეობა იქაური პატრიოტების გუნება-განწყობილებაზე იყო დამოკიდებული.**

თვით ქართლის სამეფოც არ იყო პოლიტიკურად ერთიანი; ქსნისა და არაგვის საერისთაოები თავს დამოუკიდებლად თვლიდნენ და ქართლის მეფის დაუკითხავად ხან ერთმანეთს ეომებოდნენ და ხან საქართველოს სხვა კუთხეებს.

თვით ქართლ-კახეთისა თუ იმერეთის დამოუკიდებლობა რაღა იყო ნეტავი? მეფეებს ირანი ან თურქეთი ნიშნავდა, როცა მოეპრიანებოდა, მაშინ გამოიძახებდა მათ ისპაჰანში და ქათამივით წააგდებინებდა თავს. სხვა სამთავროებზე კი ლაპარაკიც არ ღირს.

> **არც ერთი იმპერია ფრთიანი ანგელოზი არ არის, მაგრამ, როდესაც არჩევანის წინაშე დგას ქვეყანა, მან ერთმანეთს უნდა შეადაროს იმპერიები და აირჩიოს ის, სადაც და ვისთანაც გადარჩენის მეტი შანსი აქვს.**

არ ჩანდა ქვეყნის გამაერთიანებელი ძალა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთი მამაშვილმა თეიმურაზმა და ერეკლემ გააერთიანეს და ერეკლე II გახდა გაერთიანებული აღმოსავლეთ საქართველოს მეფე. ეს გაერთიანება მთლიანად დიდი მეფის, ერეკლეს ვაჟკაცობის შედეგი იყო, თორემ ქართლელები მას ლეგიტიმურ მეფედ არ აღიარებდნენ, კახელი ბაგრატიონი არისო ეგ. ყველასათვის ცნობილია, ქართლისათვის უკანასკნელ საბედისწერო ბრძოლაში ირანელი აღა-მაჰმადხანის წინააღმდეგ კახელებმა მეფისწულის სარდლობით ჯარი არ მოაშველეს ერეკლეს: ნეტა რა ჩვენი საქმეა, ომი ქართლშია, კახეთში ხომ არაო.

ასეთი იყო მაშინდელი ეროვნული შეგნება და ქართული სახელმწიფოებრიობის განცდა.

დამოუკიდებლობა ერქვა ამას?

რუსეთთან შეერთების შემდეგ სამეფო ტახტი გაუქმდა საქართველოში და ე. წ. დამოუკიდებლობა დავკარგეთ. სამაგიეროდ რა მივიღეთ? გარეშე მტრების შემოსევები შეწყდა, ქართველი ერი ფიზიკურად გადარჩა და გამრავლდა, სამთავრო-საერისთაოებად დანაწევრებული ქვეყანა გაერთიანდა. თურქეთის მიერ მიტაცებული აჭარა და სამცხე-ჯავახეთი დედასამშობლოს დაუბრუნდა და დაიწყო ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება.

ისტორიის ეს მკაცრი გაკვეთილები ქართველთა ერთ ნაწილს დავიწყებული აქვს და დღევანდელობას „ფართოდ დახუჭული თვალებით“ უცქერის.

აი, ახლა საქართველოში სულმოუთქმელად ელიან, როდის დაიწყება თურქული ტელესერიალი „დიდებული საუკუნე“. სერიალი ისტორიული შინაარსისაა და თურქეთის გამორჩეული სულთანის „სულეიმან დიდებულის“ ზეობის პერიოდს ასახავს. კი, ბატონო, სულთან სულეიმანის მმართველობის დრო თურქეთისათვის დიდებული საუკუნე იყო: თურქეთმა იმდროინდელი ნახევარი მსოფლიო გადაჯეგა და ოსმანთა დიდი იმპერია შექმნა, მაგრამ საქართველო კი სისხლისაგან დაიცალა, ქართველთა დიდ ნაწილს ენა და სარწმუნოება წაართვა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საბოლოოდ დაუკარგა საკუთარ ისტორიაში დაბრუნების შანსი. თურქეთის ბატონობაში მყოფ საქართველოში არა მარტო სოციალურ-კულტურული განვითარება შეაფერხეს, არამედ საკუთარი ვინაობა და სადაურობა დაავიწყეს ხალხს, მანქურთებად აქციეს იგი.

ახლა გადავხედოთ, რა დაემართა XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესულ დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოს!

ქართველმა ხალხმა განუწყვეტელი შემოსევებისაგან დაისვენა და თავისი სასიცოცხლო ენერგია აღმშენებლობისა და კულტურული განვითარებისაკენ მიმართა: რუსეთთან შეერთებამდე რომ წერა-კითხვა მოსახლეობის ერთ პროცენტზე ნაკლებმა იცოდა, XIX საუკუნის 30-იან წლებში თითქმის ყველა დიდ დასახლებულ პუნქტში სკოლა იყო გახსნილი. იხსნებოდა როგორც სახელმწიფო სკოლები, ისე საზოგადოებრივი გაერთიანების მიერ ორგანიზებული სასწავლებლები; დაარსდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები, ბანკები, ქართული თეატრი, ინტენსიურად ვითარდებოდა ქართული მწერლობა და მეცნიერული აზროვნება; ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დიდი ქართული ინტელიგენცია.

XIX საუკუნე რუსეთისათვის ოქროს საუკუნე იყო. ასევე ოქროს საუკუნე იყო იგი მის შემადგენლობაში მყოფი საქართველოსთვისაც. ნეტავი ვინ დაასახელებს მეორე მაგალითს იმისას, რომ მეტროპოლიას (ინგლისსა თუ საფრანგეთს, ესპანეთსა თუ პორტუგალიას) თავის სოციალურ-კულტურულ დონეზე ამოეკაჩოს კოლონიური ქვეყანა. პირიქით კი! ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლება იმისა, თუ როგორ გადაისროლეს ისტორიულ ბნელეთში დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე ერები ინგლისელმა თუ ესპანელმა კოლონიზატორებმა.

საქართველოს მიმართ როცა რუსეთის ამაგზე ვლაპარაკობ ხოლმე, ოპონენტები 1989 წლის 9 აპრილს მახსენებენ: დაგავიწყდაო, რა გვიქნა რუსეთმა, როგორ დაგვიხოცა გულანთებული პატრიოტები მშვიდობიან მიტინგზეო. არ დამვიწყებია, მაგრამ ის ჯარი, მაშინ რომ მესანგრის ნიჩბებით დაგვარბია, რუსის ჯარი კი არა, საბჭოთა ჯარი იყო და ისე იყო რუსეთის, როგორც ჩვენი. რუსული ჯარი 1917-1920 წლებში გაანადგურეს ბოლშევიკებმა.

ისე კი, ისიც საკითხავია, საბჭოთა ჯარი რუსებმა შექმნეს, თუ სულაც რუსების ნების საწინააღმდეგოდ შეიქმნა, რაშიც ქართველებს, სხვა უცხოტომელებთან ერთად, დიდი წვლილი ჰქონდათ შეტანილი.

არც ერთი იმპერია ფრთიანი ანგელოზი არ არის, მაგრამ, როდესაც არჩევანის წინაშე დგას ქვეყანა, მან ერთმანეთს უნდა შეადაროს იმპერიები და აირჩიოს ის, სადაც და ვისთანაც გადარჩენის მეტი შანსი აქვს.

სხვათა შორის გენიალურმა სტალინმა, როგორც ყოველთვის, საქართველოს არჩევანიც ზუსტად შეაფასა: **საქართველომ ორ ბოროტებას შორის, ნაკლები ბოროტება აირჩიაო.**

უკეთესად ვერ იტყვის ვერავინ!

ახლაც საბედისწერო არჩევანის წინაშე დგას საქართველო: ერთ მხარეზეა ეროვნულ-კულტურული გაქრობისა და ზნეობრივი დაღუპვის რეალური საფრთხე, მეორე მხარეზე ყოველმხრივ გადარჩენის კიდევ ერთი შანსი. ახლა ყველაფერი ქართველთა გონიერებასა და ისტორიულ მეხსიერებაზეა დამოკიდებული.

მე რომ ვინმემ მკითხოს, რა გზა ავირჩიოთო, ვეტყოდი: ერთი გზა გვაქვს, რუსეთისაკენ, გზა მომავლისა!

ზურაბ ცუცქირიძე

ალექსანდრე რონდელი: თუკი ვინმეს რუსეთის დაშლა უნდა, ის არარაციონალურად აზროვნებს

მიმდინარე კვირას პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ექსპერტთა კორპუსს შეხვდა, სადაც ქვეყნის საგარეო საფრთხეები და პრიორიტეტები განიხილეს. უფრო ვრცლად შეხვედრის დეტალებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი.



— ბატონო ალექსანდრე, რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის პრეზიდენტთან შეხვედრა და ამასთანავე, არის თუ არა ამგვარი ხასიათის დიალოგი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი?

— ბუნებრივია, ასეთი შეხვედრები ძალიან წაადგება ქვეყანას. ჩვენ ვისაუბრეთ საგარეო საფრთხეებზე, იმაზე, თუ რას ვაპირებთ, რა გეგმები უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას. იყო აზრის გაზიარება, პრეზიდენტს ექსპერტებმა ჩვენი შეხედულება გავაცანით და ძალიან საინტერესო საუბარი გამოვიდა. თუმცა, მე მომეწონა თავად მარგველაშვილის შეხედულებები, მისი პოზიცია. ეტყობა, რომ ნაფიქრი აქვს ბევრ რამეზე და ძალიან კარგი ანალიზიც გაკეთა, არანაკლები, ვიდრე ამ საკითხზე წლობით მომუშავე ექსპერტებმა...

— და მაინც, კონკრეტულად რა მიაჩნიათ ექსპერტებსა და პრეზიდენტს საქართველოსთვის მთავარ გამოწვევად?

— უპირველესად, რუსეთის ქცევა და ამაზე დასავლეთის რეაქცია...

— თქვენ რას მიიჩნევთ ამ კონტექსტში პრობლემად?

— ჩემი აზრით, ყველაზე უმთავრესი არის ქვეყნის შიდა მდგომარეობა. თუკი შიგნით სოციალური და პოლიტიკური თანხვედრა არის, ასევე არის მოსახლეობის მაღალი ხარისხით კონსოლიდაცია, ეს უკვე არის საფრთხე მტრისთვის. აგრესორიც კი ფიქრობს, უღირს კი ასეთ ქვეყანასთან დაპირისპირება?

— ჩვენთან რა ვითარებაა ამ კუთხით?

— ჩვენში მაინც არის რაღაც განხეთქილება მოსახლეობაში, საზოგადოებაში... ეს მოგვდევს უკვე დიდი ხანია, რიგი მიზეზების გამო. ჩვენი მოსახლეობისთვის ყველაფერი თეთრია ან შავია, რაც დაბალი კულტურის მაჩვენებელია. არ არის ნამდვილად კრიტიკული მიდგომა მოვლენებისადმი, რაც მაღალგანვითარებულ ქვეყნებს ახასიათებთ...

— თუმცა, რატომ, როცა საგარეო ვითარებას ეხება საქმე, ერი მეტ-ნაკლებად ერთიანდება ხოლმე და არ უჭირს კონსოლიდირება.

— ამ მხრივ ვითარება შედარებით კარგია, მაგრამ ეს უფრო იგრძნობა ელიტაში და არა რიგით მოქალაქეებში. ხშირად ზოგიერთს წარმოდგენაც კი არა აქვს, რა არის ევროკავშირი, რა არის ნატო და რა ფასეულობების მომტანია. ზოგს ეცინება, რადგან არ იცის, რომ ეს ფასეულობა მისთვის მნიშვნელოვანია, მას იცავს. ამ კუთხით პროპაგანდის ნაკლებობაა.

აი, ნახეთ რუსული პროპაგანდა როგორ მუშაობს. კრემლის პიარმა გადააჭარბა ჰიტლერისას. ისეთი ტყუილები, როგორსაც პუტინი, ლავროვი თუ რუსული ტელეარხები კადრულობენ, ძნელი წარმოსადგენია. ამ დროს რუსეთის მოსახლეობა ამ გავლენის ქვეშ ადვილად ექცევა...

— არც საქართველოს წინა ხელისუფლება ჩამოუვარდებოდა პუტინისას, რადგან აბსოლუტურად ანტირუსულ პროპაგანდას ვისმენდით მთელი 9 წლის განმავლობაში...

— არ არის ჩვენთან ანტირუსული პროპაგანდა. ჩვენთან არის ემოციური პროპაგანდა, საუბარი იმაზე რუსეთი მოგწონს თუ რუსთი არ მოგწონს. არადა, ეს რა შუაშია?! მთავარია ის, თუ რას აკეთებს აგრესორი. მის ქმედებებს ვუყურებთ. რუსეთი აფურთხებს საერთაშორისო წესებს და კანონებს. ის ამოშლილი უნდა იყოს ცივილიზებული ქვეყნების რუკიდან, მაგრამ ძალიან ბევრს ეს მოსწონს.

— ასეთი პოზიცია გქონდათ თქვენ პრეზიდენტთან საუბრისას?

— დიახ. დაახლოებით იგივე ვთქვი, რასაც ახლა გეუბნებით... სხვათაშორის, ძალიან მომეწონა ჩემი კოლეგების პოზიცია. მე მაინც მგონია, რომ შიდასაფრთხე გვაქვს მოსაგვარებელი. თვალშისაცემია ეკონომიკის ნელი დინამიზმი, არადა, ყველაფერი ეკონომიკურ განვითარებაზე არის დამოკიდებული. ამ კუთხით აუცილებლად უნდა მოხდეს ძვრები, რადგან ეს არის ქვეყნის უმთავრესი პრობლემა.

რუსეთი ამ ყველაფრის შემდეგ არის ჩვენი თავსატეხი. ამავე დროს, საყურადღებოა დასავლეთის ფრთხილი პოზიცია, მეტიც, რბილი პოზიცია რუსეთის მიმართ. მაგრამ რა ქნან, ასეთ დიდ ქვეყანას ადვილად ვერ დაუწესებ სანქციებს, ქვეყანას, რომელიც ყველას სჭირდება. ამანაც უბიძგა რუსეთს უკრაინის შიდაპოლიტიკაში ჩარევისკენ. თუმცა, ზედმეტი მოუვიდა, შორს წავიდა და დასავლეთში უნდობლობა გააღვიძა მის მიმართ. ჩემი აზრით, ამჯერად რუსეთი ისე ადვილად ვერ გამოძვრება, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში მოახერხა. მაშინდელი ომი მას პატარა პოლიტიკურ ცელქობად, ოხუნჯოდ ჩაუთვალეს, მაგრამ ახლა აშკარაა უკრაინის დამორჩილების მცდელობა, ყველანაირი ხერხით, საერთაშორისო ნორმების აბსოლუტური უგულებელყოფით.

არა მგონია, ამის შემდეგ რუსეთს ვინმემ რამე დაუჯეროს. ამის გარდა, თანდათანობით მოხდება იმ პოზიციების გაძლიერება, რომელიც რუსეთს დაასუსტებს, ანუ დასავლეთი შეეცდება, ნაკლებად იყოს დამოკიდებული რუსეთზე.

— ასე მოახერხებს დასავლეთი რუსეთის დასჯას?

— დიახ. რუსეთის გათვლა ასეთი იყო: ესარგებლა იმით, რომ დასავლეთს ეკონომიკური პრობლემები აქვს. იფიქრა, რომ წინ 2-3 წელი ჰქონდა იმის გასაკეთებლად, რაც მას სიძლიერეს მოუტანდა. ეს მომენტი „ჩაავლეს“ და ცდილობენ, რაღაცის მიღწევას. ამ გზაზე უკრაინა რუსეთისთვის გულში ჩასობილი ხანჯალია. მთელი რუსული ელიტა ფიქრობს, რომ მათი სახელმწიფოს სიძლიერე ევრაზიული კავშირის შექმნაშია, რასაც უკრაინის ფაქტორი ხელს უშლიდა. ევრაზიული კავშირი — ესაა რუსული ელიტის იდეაფიქსი, რადგან ეს იქნება ნეოიმპერია. ამიტომ რუსეთი ბოლომდე იბრძოლებს უკრაინისთვის. მას უნდა არა მხოლოდ ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი, არამედ მთელი უკრაინა. მიზანია — საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლა, არსებული ხელისუფლების ჩამოშორება და ქვეყნის ფედერაცია.

> **რუსეთი ყველას სჭირდება... თუმცა, არა როგორც იმპერია, არამედ ძლიერი, განვითარებული, დემოკრატიული სახელმწიფო. ასეთ შემთხვევაში ის გახდება მასტაბილიზებელი ძალა ამ კონტინენტზე. ჩვენთვის რა ჯობია მაღალგანვითარებულ, კულტურულ მეზობელს?! თუკი ვინმეს უნდა რუსეთის დაშლა საქართველოში, ის არარაციონალურად აზროვნებს. ეს ცუდი იქნება, რადგან მისი ნანგრევები პირველი ჩვენ დაგვეცემა თავზე.**

— მოახერხებს კი?

— რადგან ცდილობს, ჩანს, რომ არც თუ უსაფუძვლოდ. თუმცა, დასავლეთი ძალიან გაღიზიანებულია და საერთო სურათიც ძალიან ანტირუსულია, გერმანიაშიც კი, სადაც მეტ-ნაკლებად ანტიამერიკული განწყობილებაა და მოსახლეობა პრორუსულია. რა, რუსმაც არ იცის, რას აკეთებს უკრაინაში?! ძალიან კარგად იცის, მაგრამ გამწარებულია.

— საქართველოსთვის თუ მოიცალა გამწარებულმა რუსეთმა, მაშინ რა იქნება?

— ამას ფიქრი და სწორი ანალიზი უნდა და არა ემოცია. მე ყველას „მეხუთე კოლონას“ ვერ ვუწოდებ, მაგრამ არის ადამიანთა კატეგორია, რომლებიც ამბობენ, რომ დავიღალეთ, 200 წელი რუსეთს თავი შევაფარეთ, ცუდი არაფერი მომხდარაო და ა. შ. თუკი არ გვინდა დამოუკიდებლობა, მაშინ კი, ბატონო!

— არიან ადამიანები, რომლებსაც პირიქით, საქართველოში ამერიკის ჰეგემონობა უფრო საშიშ ფაქტორად მიაჩნიათ, ვიდრე ერთმორწმუნე რუსეთისა.

— საქმე ისაა, რომ დღეს პროამერიკულობა „მოდაში“ არ არის, ცუდ ტონად ითვლება. მაგრამ ჩვენ რომ დღეს დამოუკიდებლები ვართ და შიმშილს გადავურჩით, ამერიკის დამსახურებაა. ბოლოს და ბოლოს, თუ ვინმე გვიცავს, არის ამერიკა. ამას გარდა, ჩვენი და ამერიკის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ორივეს ერთი საერთო სურვილი გვაქვს — არ აღდგეს რუსეთის იმპერია!

— მაგრამ მუსლიმური სამყაროს შემაკავებელი ძირითადი ძალა ხომ რუსეთია? ის რომ არა, აქამდე გრგვინვასავით გადაგვივლიდნენ ქრისტიანებს რელიგიური ფანატები.

— იცით რა, აშშ-ს შეეძლო რუსეთის ფინანსური დახრჩობა 90-იან წლებში. გიფიქრიათ, რატომ არ წავიდა ამაზე? ბუში არ იყო, რომ ამბობდა არ დაშალოთ სსრკ-ო. მათ უნდოდათ და სჭირდებოდათ შესუსტებული საბჭოთა კავშირი, მაგრამ არა მისი გაქრობა. რუსეთი ყველას სჭირდება... თუმცა, არა როგორც იმპერია, არამედ ძლიერი, განვითარებული, დემოკრატიული სახელმწიფო. ასეთ შემთხვევაში ის გახდება მასტაბილიზებელი ძალა ამ კონტინენტზე. ჩვენთვის რა ჯობია მაღალგანვითარებულ, კულტურულ მეზობელს?! თუკი ვინმეს უნდა რუსეთის დაშლა საქართველოში, ის არარაციონალურად აზროვნებს. ეს ცუდი იქნება, რადგან მისი ნანგრევები პირველი ჩვენ დაგვეცემა თავზე.

— პრეზიდენტ მარგველაშვილს როგორი პოზიცია აქვს?

— მისი პოზიცია ასეთია: საქართველომ პრინციპულად უნდა დაიცვას თავისი ინტერესები, მაგრამ, ამავე დროს, გამოიყენოს დიპლომატია ყველა მიმართულებით: დასავლეთთან და რუსეთთან. საფრთხეები მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ და შევინარჩუნოთ მაქსიმალურად თავშეკავებული პოზიცია.

— ევროკავშირთან ხელშეკრულების ხელის მოწერამდე, კონკრეტულად რუსეთიდან მომდინარე რა საფრთხე განიხილება?

— მაგალითად, რუსეთს შეუძლია თავისუფლად შეიერთოს ცხინვალის რეგიონი, რაც იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი, საიდანაც უკან დაბრუნებას ვერ შეძლებს. მისი ეს ქცევა უკანონო იქნება, და როგორც კი დასუსტდება, მოუწევს ამისთვის საფასურის გადახდა. არადა, რუსეთი მარადიული ხომ არ არის?! აუცილებლად პასუხს მოსთხოვენ.

— რამდენიმე თაობის შემდეგ?

— თუნდაც, მაგრამ ხომ მოსთხოვენ.

ასევე რუსეთი ეცდება რამენაირად ჩამოგვაშოროს დასავლეთს. ჩვენთან ამუშავებენ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც რუსეთის ინტერესების გამტარებლები იქნებიან. ასევე იქნება „Soft power“, ანუ რბილი ძალის გამოყენება (თუმცა, რუსეთის რბილი ძალა, რბილი შანტაჟია). შეიძლება გააქტიურდეს მაგალითად, კონფედერაციულ მოწყობაზე საუბარი და ა. შ. თუმცა, როგორც კი ჩვენ რაიმე რუსული სატყუარას დავთანხმდებით, იმწუთშივე დავკარგავთ დასავლეთის მხარდაჭერას.

— მაშინ თქვენ რაიმე იმედი გესახებათ თუ არა რუსეთთან დიპლომატიური რესურსის გამოყენებისა. მაგალითად, აბაშიძე-კარასინის შეხვედრას შეიძლება თუ არა რაიმე პოზიტიური სიგნალი მოჰყვეს?

— იცით, რა, რუსეთი არის ოკუპანტი. რატომღაც ეს გვავიწყდება. ცოტა არ იყოს დასაფიქრებელია ისიც, რომ ვიღაცები თბილისის ქუჩებში რუსული დროშებით „გრიალებენ“. აბა, ვინმეს გაებედა და ეფრიალებინა ფაშისტების დროშა, აპატიებდნენ?! არსებობს რაღაცები, რისი გააზრება საჭიროა. თუ სახელმწიფო გვაქვს, სახელმწიფო უნდა ვიყოთ. ვაღიაროთ ოკუპანტი ოკუპანტად, მეგობარი — მეგობრად...

— ბატონო ალექსანდრე, თქვენი აზრით, არის თუ არა თანხვედრაში პრეზიდენტისა და მთავრობის პოზიცია?

— დიახ. მათი პოზიცია, ჩემი აზრით, ერთი და იგივეა. ახალ ხელისუფლებას აქვს ძალიან კარგი მიდგომა: გაწონასწორებული, არაემოციური, დიალოგის წყნარი ტონი. თუმცა, თუ გიკბიჩეს, დროზე უნდა აყვირდე... თორემ მერე გვიანი იქნება. საქართველოს ხელისუფლება მართლაც რომ მძიმე დღეშია. თან უნდა აჩვენოს დასავლეთს, რომ მოწყვლადია და მფარველობა სჭირდება, თან რუსეთს დაანახვოს საკუთარი ინტერესების შეუვალობა და პრინციპულობა.

— დაეხმარეთ რამეში პრეზიდენტს, როგორ გგონიათ?

— იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მან გაგვიზიარა თავისი იდეები, რომელიც ჩვენ მოვუწონეთ. ალბათ, დარწმუნდა იმაში, რომ, რასაც ფიქრობს, სწორია. რაც შემეხება მე, მეც შემეცვალა წარმოდგენები. თუკი ადრე გაცილებით მკაცრი და შეიძლება ითქვას ემოციური მიდგომა მქონდა რუსეთის მიმართ, ახლა მგონია, რომ გაწონასწორებული პოზიცია უნდა დავიკავოთ. ვფიქრობ, რომ ამჟამად საჭიროა ნაკლები რიტორიკა, ნაკლები ისტერიკა. ამასთან დაკავშირებით ჩემი კოლეგებისგან ძალიან მყარი, არგუმენტირებული მოსაზრებები მოვისმინე.

— და ბოლოს, არის თუ არა საქართველოს მომავალი ევროკავშირში თუ ნატოში გაწევრება?

— უნდა ვინმეს თუ არ უნდა, ჩვენი ეროვნული პერსპექტივა არის დასავლეთი. სხვა ალტერნატივა არა გვაქვს! რუსეთთან თუ დავრჩებით, გავხდებით სამუზეუმო ექსპონანტი... ესა და ეს.

— გმადლობთ საინტერესო ინტერვიუსთვის.

ესაუბრა
თეა მოსია

გულახდილი „აღიარება“

ამ რამდენიმე წლის წინათ, ჟურნალისტებთან საუბრის დროს, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლა კატასტროფად მოიხსენია, რამაც უდიდესი აღშფოთება გამოიწვია დასავლეთში და მასზე აყოლილ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. არადა, პუტინი ცამდე მართალი იყო, ვინაიდან, უპირველესად, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ის თვლიდა, რომ საბჭოეთის დაშლამ ხელი შეუწყო ერთპოლუსიანი მსოფლიოს ჩამოყალიბებას. მსოფლიომ კი, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, საკუთარ თავზე ბატონობის გასაღები აშშ-ს ჩააბარა.

რუსეთის პრეზიდენტს მაშინ არც დაშლილი საბჭოთა კავშირის შედეგად აღმოცენებულ „დამოუკიდებელ“ ქვეყნებზე უფიქრია და არც საბჭოეთის ყოფილი ტერიტორიების დემოკრატიულ განვითარებაზე. რაც მან იფიქრა, მოურიდებლად თქვა მიუნხენის კონფერენციაზე, ანუ ის, თუ რა გამოიწვია ერთი სახელმწიფოს ერთპიროვნულმა მმართველობამ და რომ ეს მმართველობა როგორ გაიგივდა ბატონყმურ ურთიერთობებთან. ბატონი – აშშ, ყმები – დანარჩენი მსოფლიო.

დღეს ძნელად წარმოსადგენია აშშ-ის ადმინისტრაციაში ვინმე მოხელე, რომელიც მსოფლიოში ამერიკის უცილობელი ლიდერობის როლთან დაკავშირებით სხვა წარმოდგენისა იყოს. ყველა მათგანი თვითდარწმუნებულია იმაში, რომ ამერიკა ღმერთთან გატოლებული სამოთხეა და მისი ნახევარსიტყვაც კი დანარჩენმა მსოფლიომ უყოყმანოდ უნდა შეასრულოს.

ამ სიტყვების დასადასტურებლად ბევრი ქექვა არ დაგვჭირდება. საკმარისია თუნდაც ერთი მაგალითის მოყვანა, რომ დავრწმუნდეთ აშშ-ს მაღალ-დაბალი მოხელეების ფსიქოლოგიაში. ავიღოთ, მაგალითად, ქალბატონი ვიქტორია ნულანდი, ანუ ნუდელმანი, რომელმაც სულ ახლახან, უწმაწური ინგლისური სიტყვით, მთელი ევროპა გადატ... (Fuck).

ნულანდისა და ევროპასთან მისი სქესობრივი აქტის „დამყარებაზე“ ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი მოკლედ ვიტყვი საბჭოეთის დაშლით გამოწვეულ კატასტროფაზე, ანუ აშშ-ს ერთპიროვნულ მსოფლიო ბატონობაზე.

20-წელიწადზე ცოტა მეტია გასული აღნიშნული კატასტროფიდან დღემდე და შეგნებულმა მსოფლიომ (შეუგნებელიც ბევრია) საკუთარი თვალით იხილა ერთპოლუსიანობის „სიკეთეები“. ყველა რომ არ ჩამოვთვალო, რამდენიმეს დავასახელებ: იუგოსლავიის, ერაყის, ავღანეთის, ლიბიის ომები. ამ ქვეყნებში არსებული მმართველების სასტიკი ხოცვა, ქვეყნების ნგრევა, უდანაშაულო ადამიანების განადგურება, მათ შორის ქალების, მოხუცებისა და ბავშვების. ვითარების უკიდურეს გაუსაძლისობამდე მიყვანა, სეპარატიზმის გაღვივება და ზენიტში აყვანა.

ეს ომები დღესაც გრძელდება და მას სხვებიც ემატება – სირიის, უკრაინის, სხვათა სახით. გაუთავებელი რევოლუციები – ხან „ვარდების“, ხან „ტიტების“, ხან „გაზაფხულის“ და ხან „ნარინჯისფერის“ სახით. და ყოველივე აღნიშნული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან დაწყებული, აშშ ყველაფერს ღონობდა ერთპიროვნული მსოფლიო ბატონობის მიღწევისთვის, მაგრამ წინ საბჭოთა კავშირი ეღობებოდა – ისეთივე, ხშირ შემთხვევაში, უკეთესი იარაღითა და უდიდესი მსოფლიო კავშირით. საბჭოთა კავშირმა არა მარტო ევროპისა და აზიის კონტინენტებზე მოიპოვა პატივისცემა და მოკავშირის სახელი, არამედ ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში, სხვაგან.

იყო აშშ და მისი მოკავშირეები, და იყო საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირეები. და იყო მშვიდობა – ძალაზე დაფუძნებული და მყარი. და იყო პატივისცემა ორ „დიდს“ შორის, ისეთი, როგორიც შეიძლება ყოფილიყო. ორივე მათგანმა იცოდა, რომ მეტოქის ღობეზე გადაძრომა, სიკვდილის ტოლფასი იყო. ამდენად ორივენი ცდილობდნენ დაუწერელი კანონის შესრულებას.

საბჭოთა კავშირის არსებობის შემთხვევაში იქნებოდა თუ არა ის ომები, რაც იყო, არის და იქნება – გუშინ, დღეს და ხვალ?

დაბეჯითებით უნდა განვაცხადო – არა!

საბჭოეთს, აშშ ვერ გაუბედავდა იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის დაშლას, ახლო აღმოსავლეთში, ერაყში, სირიაში ომების გაჩაღებას, ლიბიის დანგრევას, ავღანეთში ხანგრძლივი ომის წამოწყებას, უკრაინაში სეპარატიზმისა და ფაშიზმის ჩათესვას და მოსკოვის წინააღმდეგ ამხედრებას, ცხინვალის ომისთვის ხელის შეწყობას და თავქარიანი, ბოროტი და ქართველი ერის მოღალატე პოლიტიკოსთა გამოზრდას, მათ მოსკოვის საწინააღმდეგოდ ამოქმედებას. ანალოგიური ვითარების შექმნას მოლდოვაში და ა.შ.

საბჭოეთის არსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა არასამთავრობო ამერიკული ორგანიზაციების დაფუძნება და მათი ძირგამომთხრელი მოქმედების გავრცობა.

მსოფლიოს ქვეყნებს, ამერიკული „ოცნებიდან“ შორსმყოფებს, „წითელი“ მოსკოვის სახით ჰყავდათ დამცველი, მხარდამჭერი, ხელის გამმართავი. და ეს ყველაფერი დაიშალა ისევ საბჭოთა ლიდერების ღორობის, უცოდინარობის, კორუფციული სულისკვეთების გამო. რუსეთის დუმის წევრები დღეს აპირებენ გორბაჩოვის წინააღმდეგ პროკურატურაში საქმის აღვძრას, რაც აშკარად მისასალმებელია. სწორედ მან და მისმა ბანდამ, რომელშიც ედუარდ შევარდნაძე შედიოდა, წერტილი დაუსვეს ორპოლუსიანობას, რითაც აშშ-ს მსოფლიოს სათავეში აძრომას საშუალება მისცეს.

ოც წელიწადზე მეტია, ამერიკა ტყუილებით კვებავს ყოფილ საბჭოთა სივრცეს, ე.წ. დამოუკიდებელ ქვეყნებს. არა ქარხანა, არა ფაბრიკა, არა მეცნიერება, არა განათლება, არა ისტორია, არა პატრიოტიზმი, არა ურთიერთის გატანა, ...

მათ ნაცვლად ქურდობა, ბანდიტიზმი, სახელმწიფო კორუფცია, უმუშევრობა, ტყუილი, „დემოკრატიის“ ყასიდი ბღავილი, სქესობრივი აღვირახსნილობა, ცისფერთა კულტუმოს ქნევა, „დედათა“ საჯარო გულწრფელობა („ჩემთვის ორალური სექსი პრობლემა არ არის და ძალიანაც მსიამოვნებს, ამას ხმამაღლა ვამბობ და არ მაინტერესებს, საზოგადოება რას იტყვის“, – მსახიობი თინა მახარაძე. „როგორ შეიძლება ადამიანს ორალური სექსი არ მოსწონდეს და არ უნდოდეს“ – მომღერალი თეონა კონტრიძე, ძველზე, შენს წარსულზე უარის თქმა, ენის დავიწყება და სხვისი ენის გაფეტიშება. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

და ეს ყველაფერი ერთპოლუსიანი მსოფლიოს გამოა.

დღეს ყველა დივერსიფიკაციაზე ლაპარაკობს – გაზის, ნავთობის მიწოდების დივერსიფიკაციაზე, ანუ მრავალმხრივობაზე და ეს არამარტო ენერგომატარებლებს ეხება. დივერსიფიკაცია უნდა იყოს ყველგან და ყველაფერში, განსაკუთრებით პოლიტიკაში. ასეთია დასავლური „დემოკრატიის“ მოთხოვნა, რომელიც რატომღაც არ ეხება ერთპიროვნულ მსოფლიო ბატონობას. არადა ყველა უბედურების თავიდათავი ერთპოლუსიანობაა.

საბჭოეთის დაცემამ და მის ნაცვლად ახალი ე.წ. ევროატლანტიკური „ფასეულობების“ ჩვენში შემოტანამ, მძიმე შედეგი გამოიწვია. თუმცა, უფრო მძიმე წინ არის და რამდენად გაუძლებს სუსტი, პატარა და საკუთარგასაღებდაკარგული საქართველო ამ შემოტევას, საკითხავი ეს არის. დღევანდელობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ – საგანგაშოდ გვაქვს საქმე, მაგრამ ვინ არის ზარის შემომკრავი?

ჩვენთან არავინ! იქ, ჩვენს მეზობელ, მართლმადიდებელ რუსეთში არის, თუმცა, ჩვენ ევროატლანტიკურად დამუხტულნი ალმაცერად, დამცინავად ვუყურებთ მას, დემოკრატიას ვუწუნებთ, თითქოს ჩვენ ვიყოთ ამ ყალბი სიტყვის ავტორები.

აშშ-მა ყველაფერი იღონა, რათა სიტყვა „დემოკრატია“ ნულისთვის გაეტოლებინა. „გადემოკრატებული“ უკრაინელი, ქართველი, მოლდოველი და ა.შ. „დემოკრატი“ გამხედნავის მათრახქვეშ მოხტუნავე, ისეთი ტლინკების ქნევაშია გართული მეზობელი რუსის მიმართ, თითქოს მან (რუსმა) შექმნა ესოდენ უსუსური, უთავმოყვარო, საკუთარის მოძულე და არა თავისივე ავადმყოფმა თავმა.

რუსის ცოდვა იმაშია, რომ დასაწყისში ისიც აჰყვა ამერიკულ ცდუნებას, მოსწყდა საკუთარ ღერძს და უღერძოდ დარჩენილმა, უაზრო ტრიალი იწყო უკიდეგანო სივრცეში. ე.წ. უაზრო ვოიაჟს მაშინ დაესვა წერტილი, როდესაც რუსის გადაგვარებაში დარწმუნებული ამერიკა, გამარჯვების სუფრას აწყობდა.

და დაიწყო რუსეთის კედელთან მიყენების ახალი ეტაპი, რომელიც დღესაც გრძელდება.

ყირიმის შეერთებიდან გამომდინარე, ბევრი თვლის, რომ პუტინმა გაიმარჯვა; რომ მის ფონზე ამერიკის პრეზიდენტი ობამა ერთობ უფერულად გამოიყურება; რომ პუტინი მზადაა, გაგრძელოს აგრესია და აღმოსავლეთ უკრაინა დაიპყროს.

ყირიმის დაბრუნება დიდი წარმატებაა პუტინისა და მისი ხელისუფლების, მეტადრე ყირიმელი რუსების, მაგრამ არც ობამა და მისი ადმინისტრაციაა წაგებული. ამ უკანასკნელმა მოახერხა უკრაინელთა ტვინებში ისეთი ანტირუსული ბაცილის ჩათესვა, რომელიც დღიდან მაიდნისა, მრავალ ათეულ წელს იარსებებს.

უკრაინელის რუსზე დაგეშვას ვაშინგტონმა 20 წელიწადი მოანდომა, თან მილიარდობით დოლარი გაიღო ამ საქმისთვის. ამერიკელმა მწვრთნელმა შეძლო უკრაინელთა გარკვეული ნაწილში ბანდერული, ფაშისტური სულისკვეთების აღორძინება და მისი მოძმე რუსეთის წინააღმდეგ მიმართვა, რაც საბოლოო ჯამში მაიდნის შეიარაღებული გადატრიალებით დასრულდა. უკრაინის სათავეში ულტრამემარჯვენე, ფაშისტური ძალები მივიდნენ – უაღრესად ანტირუსულად განწყობილი.

უკრაინის გადატრიალებით დაიწყო ახალი ანტირუსული გეგმის განხორციელება, რომელსაც უდავოდ შეიძლება ვუწოდოთ ამერიკული. ახალი გეგმის მიხედვით, იწყება ნატოს მიერ პოსტსაბჭოთა დასავლური სივრცის ათვისება, ანუ აღმოსავლეთით გაფართოება და რუსეთის გავლენის შეზღუდვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. მართალია, აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ ბრძანა უკრაინა და საქართველო ნატოს გზაზე არ დგანანო, მაგრამ ობამა ცას ვერ გამოეკიდება. ის „თეთრ სახლში“ 2016 წლის შემდეგ აღარ იქნება, მაგრამ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების გეგმა იქნება და როგორ გამოიყენებს მას ახალი პრეზიდენტი – ღმერთმა იცის.

რესპუბლიკელი პრეზიდენტის შემთხვევაში, ობამას ნათქვამი გვერდზე გადაიდება და ახალი შემართებით განხორციელდება ამერიკული გეგმა – აღმოსავლეთისკენ.

20 წლის განმავლობაში ამერიკელებმა, აღმოსავლეთისკენ გაფართოების თვალსაზრისით, ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწიეს. ყოფილი სოციალისტური ბანაკის, ანუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში შეყვანა; ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნატოში გაწევრება; სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნატოს პროგრამებში ჩართვა და ბოლოს უკრაინის ისე გადაგვარება, რომ მისი რუსეთის მიმართ ლოიალური განწყობის შექმნა წარმოუდგენელია.

რუსეთის საზღვრებზე უსერიოზულესი პრობლემები იქმნება – უკრაინის სახით მტრული სახელმწიფოს გაჩენით. ექსტრემისტულ-ფაშისტური უკრაინა არა მარტო რუსეთისთვის, ევროპისთვისაც უდიდესი თავსატკივარია, მაგრამ ეს ნაკლებად აღელვებს ვაშინგტონს. მან უკრაინით, ევროპა-რუსეთს დიდი პრობლემა შეუქმნა – მუდმივი, ძნელად დასაძლევი.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ფართოვდება ამერიკის მიერ წამოწყებული ანტირუსული კამპანია. მედიურმა ანტირუსულმა პროპაგანდამ მთელს მსოფლიოში რუსეთის ისეთი მტრის ხატი შექმნა, რომ მისი დაძლევა არცთუ იოლი იქნება. „მშვიდობისმოყვარე“, „დემოკრატი“ ამერიკა წარმატებით ასრულებს საკუთარ ექსპანსიონისტურ გეგმას - მსოფლიოს ბატონობა რომ ჰქვია. მისი ტყუილი, მართალია, სხვისი სიმართლე – ტყუილი.

ამერიკული მზაკრული აზრი ცუდად ადგება მსოფლიოს და თუ ვინმემ ხმა არ ამოიღო, ისეთი ერთპიროვნული დიქტატი იქნება, მონათმფლობელობაც რომ სანატრელი გახდება. ამერიკულმა მსოფლიო ბატონობის სურვილმა, ყველას და ყველაფრის არბიტრობამ მძიმე შედეგებამდე, ანუ დაპირისპირებამდე შეიძლება მიიყვანოს მსოფლიო.

ყური დაუგდეთ, წაიკითხეთ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ნულანდის ნათქვამ-ნაწერები და დარწმუნდებით საით მიერეკება ეულად დარჩენილი ჰეგემონი.

ნულანდი მარტო არ არის. მას სხვა მაღალ თუ დაბალჩინოსანი მოხელეები უმშვენებენ მხარს. საინტერესოა მისი გამონათქვამები უკრაინასთან მიმართებაში. მაგალითად, კლიჩკოსთან დაკავშირებით: **„ეს „ვიშიბალა“ კეთილსინდისიერად არ დაიცავს აშშ-ს ინტერესებს. მასში ძალიან ბევრია უმართავი რაკეტა. ჩვენ ისეთი გვინდა, ვინც იოლი სამართავი იქნება, მაგალითად იაცენიუკის მსგავსი. თუ ის მიიღებს ძალაუფლებას, ამერიკაზე გააკეთებს აქცენტს.**

უკრაინელები ამბობენ, რომ მე მათ შიდა ცხოვრებაში ვერევი? როგორ ბედავენ! ჩვენ, ამერიკელები, სულაც არ ვერევით. ჩვენ უბრალოდ ვეუბნებით, რა უნდა გააკეთონ მათ. შევე... უკრაინელებს“.

ქალბატონ ნულანდისთვის თითქმის 50-მილიონიანი უკრაინა სათამაშო ტიკინაა, რომელსაც ან წიხლს ამოარტყამ, ან საუკეთესო შემთხვევაში „იხმარ“. ერთი წუთით ჩვენი თავი წარმოვიდგინოთ უკრაინის ადგილზე. ქალბატონი ნულანდი არამარტო ორალურ, ანალურ, ტრადიციულ სექსს იქონიებდა ჩვენთან, არამედ სადისტურ ელემენტებსაც მიმართავდა სქესობრივი სიამოვნების მისაღებად. აქვს ამ ქალბატონს ეს მონაცემები, ისე როგორც უკრაინის რევოლუციის ერთ-ერთ მოკლურ ლიდერს მუზიჩკოს.

„რაც მე მაგიჟებს, ის არის, რუსებმა შეძლეს ჩემი საუბრის „დაჭერა“. ეს არაკეთილსინდისიერი საქციელია, უხეში და უხამსი. გლობალურ დიპლომატიაში ყოველთვის არასასიამოვნოა, როდესაც ხელს წაგავლებენ, პუტინის ხალხი იქნებიან ისინი, თუ სხვა ვინმე. აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენ ამერიკელები, როგორც მსოფლიოს ლიდერები, უნდა ვიყოთ ერთადერთები, ვისაც უფლება აქვს მოუსმინოს სხვას. და არავითარ შემთხვევაში შებრუნებით. ასე რომ, მე მოსმენის მსხვერპლი არ უნდა ვიყო. მე არ უნდა ვიყო ანგელა მერკელი. არაფერ საშიშროებას არ წარმოადგენს, რომ მოუსმინო და დაადგინო, რა აქვს გონებაში ამ გერმანელ კანცლერშას.

როგორც ამერიკის მოქალაქე და ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი, მე ვფიქრობ ერთზე, ანუ ვწყვეტ, ვის უნდა მოვუსმინო. ბოლოს და ბოლოს, იმის გამორკვევა, რას ლაპარაკობენ და ფიქრობენ სხვები ჩვენზე, ემსახურება ჩვენს ნაციონალურ ინტერესებს. ასე რომ, ეს მოქმედება ლეგიტიმურია. ის, ვისაც ეჭვი შეაქვს ამაში, მე ვუპასუხებ მარტივად - შევე... ვალდებულებებს, რომლებსაც კანონი აწესებს.

მხედველობაში მიიღეთ ჩემი ამჟამინდელი როლიც – აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპის საკითხებში. ეს, პრაქტიკულად არის მეფისნაცვლის თანამდებობა. ასე, რომ მე უნდა ვიცოდე მათი „საიდუმლოება“. ჩემი მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ ვმართო ეს ევროპელი ჩვრები. სიძნელეები იქნება, მაგრამ საქმე უნდა გაკეთდეს.

როდესაც მე ვთქვი შევე...-ი ევროკავშირს, მხედველობაში არ მქონია მათი დიპლომატიური არაკომპეტენტურობა. ეს დღევანდელობაა. ყველამ იცის, რომ ისინი ქაღალდის ვეფხვებია, აი, ასეთ გმირებს დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე.

რაც ყველაზე უფრო მაღიზიანებს, ეს „ევროპელი უზენაესი წარმომადგენელია“ ლედი ეშტონი, რომელიც ყველა სატელევიზიო არხზეა, როდესაც საქმე ეხება მსხვილ საგარეო პოლიტიკურ აქტს. ეს მიუღებელია. რა საჭიროა ტელეეკრანზე მისი მსხვილი პლანით ჩვენება - ყველა „ცხელ“ ტელეგადაცემასა და „ცხელ“ საკითხებზე. შევე... ტელეკამერებს“.

ქალბატონი ნულანდის გულახდილობა აშკარა მაჩვენებელია იმისა, თუ რანი არიან თანამედროვე ამერიკელი დიპლომატები და პოლიტიკოსები; თუ რას წარმოადგენს მათი პოლიტიკა და რისთვის იბრძვიან ისინი. ასეთებთან ურთიერთობაც კი სახიფათოა, არათუ პარტნიორად გახდომა, უფრო მეტიც, თავზე წამოსმა. უსუსური ქვეყნის, უსუსურმა პოლიტიკოსებმა სააკაშვილების, ბოკერიების, ხიდაშელების, კანდელაკების, თაქთაქიშვილების მსგავსემა ლამის ხატად გაიხადეს ნულანდები, მაკკეინები, ბეინერები, რასმუსენები, სხვა მისთანები და მათი მხარდაჭერით ყველაფერს აკეთებენ ბედკრული ქვეყნის გადასაგვარებლად.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ხარაგაულში, ლინა ბარათაშვილთან

ვანო ცერცვაძის საიუბილეო საღამო

„მაშინ ყველას ერთმანეთი გვიყვარდა“...

ჩვენთვის საყვარელი ადამიანის — ჟურნალისტისა და პოეტის მარინე თექთუმანიძის საოჯახო ალბომში ლამაზ ფოტოებთან ერთად ლამაზი მოგონებებიც ინახება. გთავაზობთ საუბარს ქალბატონ მარინესთან.:

— რომელია თქვენი ბავშვობის გამორჩეული ფოტო და რატომ?

— ბავშვობა დაკარგული განძია, რომელიც ყოველთვის, თითქმის ყოველდღე გახსენებს თავს და გაუსაძლისი ტკივილებით გავსებს. ბავშვობა დედ-მამაა, ბებია-ბაბუა, სიყრმის მეგობრები ...ბავშვობა ერთი ულამაზესი, დიდი, საუკეთესო ადამიანებით დასახლებული სამყაროა, რომელიც თვალსა და ხელს შუა გადნება. მერე კარგავ უახლოეს ადამიანებსაც და ამ დანაკარგს ვერასოდეს ვერავინ და ვერაფერი გინაზღაურებს. ყველა ფოტო ძვირფასია, რაც ამ პერიოდთან არის დაკავშირებული. აი, მე, დედასთან და დასთან ერთად. დედაჩემი ცალკე თემაა თავისი სიკეთით და განუმეორებელი ურთიერთობებით სხვა ადამიანებთან, თავისი შემწყნარებლობით და ჩვილი გულით...

— რა დაგამახსოვრდა სკოლის ცხოვრებიდან?

— ესეც ჩემი კლასი. საოცარი, ნიჭიერი ბავშვებით სავსე. აქ მხოლოდ გოგონები ვაპირებდით სურათის გადაღებას, მაგრამ, გიაც შემოგვიხტა. მე მარცხნიდან პირველი ვარ ფეხზე მდგომებში. 112-ე სკოლა დავამთავრე 1973 წელს. ეს დრო საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში. ასეთი მეგობრული კლასი, ალბათ, იშვიათი იყო. ჩემი თანაკლასელი იყო დღეს უკვე ცნობილი პოეტი ნუგზარ ბერაძე (ღიღინო ცახური), რომელსაც, რა პარადოქსულადაც გინდა მოგეჩვენოთ, ლექსებს თითქმის არ უბეჭდავდნენ სიცოცხლეში. თუ სწორად მახსოვს მისი პირველი აღიარება, სწორედ თქვენს გაზეთში, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა.

— თქვენ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ — „ნერგის“ რედაქტორი იყავით... გაზეთისა, რომელმაც არაერთი შემოქმედი ადამიანი გაზარდა, სიყვარული და სიკეთე დაანათლა შემოქმედების გზაზე...

— 1982 წლიდან გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში დავიწყე მუშაობა. ეს წლებიც საუკეთესოა ჩემთვის. არაჩვეულებრივი, უკეთილშობილესი ადამიანები დამხვდნენ რედაქციაში და უამრავი რამ ვისწავლე მათგან: სიკეთე, სიყვარული, საქმისადმი პროფესიონალური

ნათელა ფაილოძესთან და ციალა ხუციშვილთან ერთად

თემურ ჩალაბაშვილთან ერთად

დამოკიდებულება. ხშირად ვიმეორებ და ახლაც იმავეს ვიტყვი, — ძალიან გამიმართლა ცხოვრებაში, რომ ასეთ ადამიანებს შევხვდი... ეს ფოტო ხარაგაულში გადავიღეთ. ლინა ბარათაშვილს მშობლიურმა რაიონმა შეხვედრა მოუწყო და ყველანი იქ ვართ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერთის სიხარული და წარმატება ყველას სიხარული იყო. ეს ფოტო განსაკუთრებით ძვირფასი იმიტომაც არის, რომ აქ ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელები ვართ. ჯერ არ გვაკლია არც მზია კოჭლავაშვილი, არც ნათელა მეხრიშვილი, არც ციალა ხუციშვილის ქმარი საშა ხუციშვილი. დღეს ტკივილით დავყურებ ამ ფოტოს და ის დრო მენატრება... ესეც რედაქცია. ნათელა ფაილოძე, ციალა ხუციშვილი და მე. ნათელა ფაილოძის დამსახურება იყო ჩემი რედაქციაში გადაყვანა. სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა.

რედაქციაში 2000 წლიდან ამოქმედდა „სწავლულ ბავშვთა დარბაზი“, რომელმაც უამრავი ნიჭიერი ბავშვი გააერთიანა. ვაწყობდით შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან. მახსოვს ბავშვებმა პოეტი ეკა ბაქრაძე მოიწვიეს შეხვედრაზე. ჩვენი დარბაზის პრეზიდენტი ნიჭიერებით გამორჩეული ბავშვი ირაკლი გუნია იყო, რომელთანაც, როგორც უამრავ აღზრდილთან, დღესაც ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს.

რედაქციაში (უკვე „ნერგი“) ჩვენი რედაქტორის ვანო ცერცვაძის 80 წლის იუბილე აღვნიშნეთ. ჩვენთან ერთად იყვნენ რედაქციის მეგობრები, საბავშვო მწერლები: გივი ჭიჭინაძე, დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია, ქეთევან ჭილაშვილი. შუაში ზის ვანო ცერცვაძე.

— გაიხსენეთ პირველი შემოქმედებითი საღამო... თქვენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოგზაურობისას მრავალი საინტერესო მოგონების გახსენება შეგიძლიათ...

— ჩემი პირველი შემოქმედებითი საღამო მწერალთა კავშირში 2001 წელს გაიმართა. პირველი წიგნი „გაზაფხული უშენობით ცივი“ წარვუდგინეთ საზოგადოებას. უხერხულობის განცდა მქონდა, რომ ამ დიდი, ბუმბერაზი ადამიანების ნაკვალევდამჩნეულ სახლში ჩემი საღამო იმართებოდა. მაშინ ყველას ერთმანეთი გვიყვარდა.

მე და თემურ ჩალაბაშვილი ბარისახოში. ძალიან მიყვარს ეს ფოტო. მეგობრების ჯგუფი წავედით ხევსურეთში, ერთი ბოჰემური საღამოს სურათია. ჩემი მთელი ცხოვრების მეგობარია თემური, ღმერთმა კარგად მიმყოფოს!

— როგორ დაიწერა ლექსი „ეთი ოსური“?

— ჩემს არქივში ერთი, მეტად ძვირფასი ფოტო ინახება. ძვირფასი იმით, რომ ეს სურათი მამისთვის ძალიან ძვირფასი იყო. დღეს გახმაურებული ლექსის „ეთი ოსურის“* ადრესატი ამ სურათზეა. დასასრულს ეს ლექსი „ეთი ოსური“ და სურათი შევთავაზოთ მკითხველს:

იქვე ვთამაშობ...
დედა და ბებია შეთქმულებივით ჩურჩულებენ...
შიგადაშიგ თვალს შემავლებენ...
შიშობენ, ყური არ მოვკრა...
„ეთი ოსური“ მაინც მესმის,
ვიცი, ვისაც გულისხმობენ...
„ეთი ოსური“ ლამაზი ქალია,
ყელმოღერებული დადის ჩვენს ქუჩაზე...
„ეთი ოსური“ მამაჩემის თანაკლასელია...
„ეთი ოსური“ დედას ეჯავრება, იმიტომ რომ მამას უყვარს,
„ეთი ოსური“ მეც მეჯავრება, იმიტომ, რომ დედას ეჯავრება.
„ეთი ოსური“ ჩემს დასაც ეჯავრება, ჩემს ბებიასაც...
მხოლოდ მამას უყვარს „ეთი ოსური“...
მამას ერთი ფოტოსურათი ჩუმად აქვს შენახული.
იმ სურათს, დღეს, მე ვინახავ.
მამა და „ეთი ოსური“ პატარები არიან ამ სურათზე...
მათ ერთმანეთი ამ სურათში უკვე უყვართ...
დედა და ბებია გვიმალავენ, მაგრამ მე და ჩემმა დამ ვიცით,
ამ ქალს უბედურება მოაქვს ჩვენთვის...
ჩვენ გავიზარდეთ...
დედა მამას ატყუებს: — იცი? ის ქალი მოკვდა!
მამის ცრემლები დღესაც გულს მიკუმშავს...
— იცი? ის კაცი მოკვდა, — სიმართლეს ეუბნებიან (ეთი ოსურს)...
იმ ქალის ქვითინი დღემდე მატირებს...
აღარც დედაა.... აღარც მამა...
აღარც სიძულვილი... აღარც ეჭვიანობა...
დღესაც დადის ჩვენს ქუჩაზე ლამაზი ქალი...
აღარ მძულს, მიყვარს...
მამა უყვარდა, მამას — უყვარდა...
მამას ვინც უყვარდა, ის მეც მიყვარს...
ეს სიყვარული, მაპატიე, დედა!!!

*** „ეთი ოსური“ — ის ქალი (მეგრულად)**

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი

„ეთი ოსურის“ ადრესატი.

◎ კულტურა, რომელიც გვაერთიანებს და გვყოფს

აფხაზები ისტორიული ექსპონატების სოხუმში დაბრუნებას ითხოვენ

ჟენევის მოლაპარაკების 27-ე რაუნდის დასრულების შემდეგ ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთის მხარე დათანხმდა კულტურულ და ისტორიულ ძეგლებზე ქართველი სპეციალისტები დაუშვას, თუმცა, ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომლის ცნობითაც, ჟენევის დისკუსიის ფარგლებში საუბარი იყო სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, რომელიც შეისწავლის აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლების მდგომარეობას და აფხაზეთიდან გატანილი სამუზეუმო ექსპონატებისა და საარქივო მასალების სოხუმში დაბრუნების შესაძლებლობას. რაზე შეთანხმდნენ ჟენევის დისკუსიის მონაწილე მხარეები და რის დაბრუნებას ითხოვს სოხუმი თბილისისგან?

ბედიის ბარძიმი

საქართველოს ბეჭდურმა მედიამ სენსაციური ცნობა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილზე დაყრდნობით გაავრცელა, პასუხად აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ირაკლი ხინთბამ განაცხადა, რომ დისკუსიის მონაწილე მხარეები სულ სხვა რამეზე შეთანხმდნენ: **„სინამდვილეში, ჟენევაში ლაპარაკი იყო აფხაზეთიდან თბილისში გატანილი კულტურული ფასეულობების უკან დაბრუნების მექანიზმის შესწავლის საკითხზე. ეს იყო და ეს. როგორც ჩანს, ადგილი აქვს ჩვეულებრივ გაუგებრობას იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთისა და საქართველოს მხარეები ხშირად ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე — პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით“.**

ქეთევან ციხელაშვილმა რადიო თავისუფლებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აფხაზურმა მხარემ, მართლაც, დააყენა თბილისში დაცული გარკვეული კულტურულ-ისტორიული ექსპონატების მოძიებისა და სოხუმში დაბრუნების მექანიზმის შექმნის საკითხი, თუმცა, ამავე შეხვედრაზე მხარეები ასევე შეთანხმდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ძეგლების მდგომარეობის გამოკვლევასა და შესწავლაზე, რასაც ქართული მხარე დისკუსიის თითქმის ყველა რაუნდზე ითხოვდა: **„ჩვენ ვუპასუხეთ, რომ სხვა საკითხებიც უნდა ჩავრთოთ. რამდენი რაუნდია, რომ რეგულარულად ვაყენებთ ძეგლების საკითხს. თანაც ვუთხარით, რომ თუკი თქვენ თვლით, რომ ეს მნიშვნელოვანია და აფხაზი ექსპერტებიც შეშფოთებული არიან ძეგლების მდგომარეობითა და შავი არქეოლოგიით, მაშინ ეს საკითხები უფრო ფართოდ უნდა იქნეს განხილულიო. და ამაზე არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა“.**

ქეთევან ციხელაშვილის თქმით, მართალია, კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არაა, მაგრამ დაფიქსირდა აშკარად პოზიტიური ძვრა ისეთი კომისიის შექმნის პერსპექტივის სახით.

საკამათოა ის, თუ სად უნდა ინახებოდეს ექსპონატები. როცა იყო საბჭოთა საქართველო, ამ ექსპონატებს აგროვებდნენ თბილისში, ცენტრალურ მუზეუმებში, თუმცა, უკვე მაშინ იდგა მწვავედ გადაცემის საკითხი...

როგორც აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის **ვიაჩესლავ ჩირიკბას** კომენტარიდან ირკვევა, მხარეებს განსხვავებულად ესმით თანამშრომლობის პერსპექტივა და ასპექტები. ვიაჩესლავ ჩირიკბას თქმით, სოხუმი ისედაც დაინტერესებულია მის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვით: **„აფხაზეთის ტერიტორიაზე ბევრი უძველესი ძეგლია, რომელიც რესტავრაციას და მოვლას საჭიროებს, მაგალითად, მეხუთე საუკუნის ლიხნის მონასტერი. ამიტომ წინააღმდეგი არ ვართ, რომ ჩამოვიდნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც შეაფასებენ ჩვენი ძეგლების მდგომარეობას და მოგვცემენ რეკომენდაციებს კონსერვირებასა ან კვალიფიუციურ რესტავრაციასთან დაკავშირებით. ლაპარაკია აფხაზურ ეკლესიებსა და მონასტრებზე“.**

ვიაჩესლავ ჩირიკბას თქმით, თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი საზრუნავი აფხაზეთიდან გატანილი სამუზეუმო და საარქივო ექსპონატების დაბრუნებაა: **„აშკარაა, რომ ჩვენი კულტურული ფასეულობები უნდა დაბრუნდეს. ახლა მათ ჩამოთვლას არ შევუდგები, მაგრამ სათანადო დოკუმენტს აუცილებლად წარვუდგენთ ჟენევის დისკუსიის მონაწილე მხარეებს. კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი გატანილ იქნა როგორც რუსეთის იმპერიის დროს, ასევე საბჭოთა კავშირის და მისი დაშლის შემდგომ პერიოდებში, ომის დროს. ასე რომ, სია ვრცელია. ესაა აფხაზური კულტურის ნაწილი და ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს სამშობლოში“.**

პოლიტიკოსების მსგავსად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კუთვნილების საკითხი განსხვავებულად ესმით ქართველ და აფხაზ მეცნიერებსაც. ისტორიკოს გიორგი ანჩაბაძის თქმით, აფხაზები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ითხოვდნენ ბედიის ბარძიმის, აფხაზეთის უკანასკნელი კათალიკოსის კვერთხის და სხვა მნიშვნელოვანი ნივთების აფხაზეთში დაბრუნებას.

გიორგი ანჩაბაძე იმედოვნებს, რომ მხარეები პოლიტიკური კომპრომისის საფუძველშე შეძლებენ პოზიციების შეჯერებას: **აფხაზეთში დაბრუნდება მნიშვნელოვანი ისტორიული ექსპონატების ნაწილი, ხოლო ქართველი მეცნიერები შეძლებენ აფხაზეთში მდებარე ძეგლების გამოკვლევას, ანუ ორივე მხარე მიაღწევს საწადელს, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მკვდარი წერტილიდან დაძრას მოლაპარაკების პროცესი.**

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო „თავისუფლება“

◎ ალიან-ჩალიანი

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისთვის რეგისტრაციის ვადა გაიზარდა

შესაბამისი ცვლილებები „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტში დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის წინადადებით აისახა.

პარლამენტში წარდგენილი თავდაპირველი ვერსიით, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების რეგისტაციის ვადა არჩევნებამდე 57 დღით ადრე იწურებოდა. იმ არგუმენტაციის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ვადა ძალიან მცირეა, პროექტში ცვლილება შევიდა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საინიციატივო ჯგუფებს შესაძლებლობა ექნება დარეგისტრირდნენ არჩევნებამდე არაუგვიანეს 47 დღისა. ასევე ათი დღით გადაიწია მხარდამჭერთა სიების წარდგენის ვადამ.

როგორც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა თამარ კორძაიამ განმარტა, შემოთავაზებული კანონპროექტით საინიციატივო ჯგუფებს რეგისტრაციის ვადა 19 აპრილს ეწურებოდათ, ახლა კი მათ ვადა 29 აპრილს ამოეწურებათ.

ქართული ღვინის ექსპორტმა 15 488 184 ბოთლი შეადგინა

ამის შესახებ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ეს ციფრი 243%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლთან.

საექსპორტი ბაზრის პირველი ხუთეულია: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ლატვია. აქედან, ექსპორტის მთლიან მოცულობაში რუსეთი 71%-ით ლიდერობს. პირველი კვარტლის მდგომარეობით, ექსპორტირებულია 51 202 154 აშშ დოლარის პროდუქცია, რაც 290%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ამასთან, პირველ კვარტალში 9 ქვეყანაში ბრენდის ექსპორტმა 3 940 202 ბოთლი შეადგინა. ბრენდის ექსპორტი თანხაში 14 486 685 აშშ დოლარია, რაც 113 %-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის უკრაინა ლიდერობს, სადაც ექსპორტმა პირველ კვარტალში 2 504 520 ბოთლი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებს რუსეთი, სადაც საანგარიშო პერიოდში 1 242 408 ბოთლი ბრენდია ექსპორტირებული.

საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა

ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, თავმჯდომარეობის აშშ-დან საქართველოზე გადმობარების ცერემონიალი ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ჩატარებულ WWTG-ს ყოველწლიურ შუასაუკუნეთა შეხვედრაზე გაიმართა.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი სახელმწიფოთა არაფორმალური გაერთიანებაა, რომლის მიზანი ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ღვინით ვაჭრობის გამარტივებაა. WWTG-ს წევრები არიან — აშშ, კანადა, არგენტინა, ჩილე, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და საქართველო.

საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა 1 წლის განმავლობაში, 2015 წლის 1 აპრილის ჩათვლით იქნება.

WWTG-ს მორიგი პლენარული შეხვედრა 2014 წლის 25-27 აგვისტოს, თბილისში გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კანდიდატი ქვეყნები და დამკვირვებლები. როგორც ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, ამ შეხვედრაზე საქართველო მოლდოვას წარადგენს და წევრობაზე რეკომენდაციას გაუწევს.

ინტერპრესი

◎ ჟინჟარსიტყვა

ქართველ ჯალათებს

ჯალათებო, ლაფში ნუ სვრით
ლამაზ ქართულ გვარ-სახელებს,
თორემ მალე მოვა დრო და
მოგეზღვებათ მისსლით,
სადა ჰქონდათ დიდგორელებს,
მარტყოფელებს, არაგველებს,
ნაძირალა ქართველთათვის
დასაღვრელი სისხლი!

* * *

ვინც ავკაცების გვერდით დადგება,
იმისგან კაცი აღარ დადგება.

გველი მხოლოდ კანს იცვლის

არ მწამს ზოგის სახეცვლის,
ეს არც საკვირველია,
გველი მხოლოდ კანს იცვლის,
თორემ ისევ გველია.

მასხარადია, აბა რაა?

ავკაცების ყოფაქცევაც
აღარც მასკარადია,
ხოლო სავლეს პავლედ ქცევა
უკვე მასხარადია.

* * *

ჩვენ გვახსოვს ნაცთა „მორალი“,
ხალხი დაზაფრეს შიშითა,
„არ გათეთრდების ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

როგორ მიყვარდა

როგორ მიყვარდა ყველა ქართველი,
ყველას მოყვასად ვთვლიდი,
თურმე რამდენი გვყავს გამყიდველი,
არამზადა და ფლიდი.

ნეტავ ვიცოდე, როდესაც ბოლოს,
განკითხვის ჟამი მოვა,
სად შეაფარებს თავს, რომელ სოროს,
ნაძირალათა ხროვა!

ლამის

ლამის არი, დაილიოს სულიერი მარაგი,
ო, რამდენი სიბილწეა, სიავე და თალხი,
აფსუს ჩემი საყვარელი დედა
თბილისი ქალაქი,
აფსუს ჩემი ამაყი და თავმომწონე სალხი!

* * *

ყველა ხვდება, ჩვენ კი — არა,
ნატოში რომ არ გვიღებენ.
მე მგონია, კარს კი არა,
ფანჯარასაც არ გვიღებენ.

იმედი

ეს გაუმარჯოს იმ ქართველს,
იკურთხოს მისი სახელი,
„ვისაც დღე და ღამ ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი“.
იქნება მართლაც ეღირსოს
ჩვენს ერს ნამდვილი აღდგომა,
„იქნებ ეღირსოს ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა!“

გურამ ჟავჟანიძე,
10.04.14.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ვითარებამ აბაშიძისა და კარასინის მოლაპარაკება გაართულა

პრაღაში გაიმართა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მოწესრიგების მეექვსე შეხვედრა

ოთხშაბათს პრაღაში გაიმართა მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელის ზურაბ აბაშიძეს შორის. ოფიციალური რელიზის თანახმად, დღის წესრიგში იყო — „ვაჭრობაში, ტრანსპორტის სფეროში, ჰუმანიტარულ ურთიერთმოქმედებაში მიღწეული პოზიტიური შედეგების, აგრეთვე ორმხრივი დიალოგის შემდგომი პერსპექტივების“ ანალიზი. საქართველოს მხარეს ასევე იმედი ჰქონდა მიეღო გარკვეული პასუხი სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

გრიგორი კარასინისა და ზურაბ აბაშიძის მეექვსე შეხვედრა რამდენჯერმე გადაიდო უკრაინის მოვლენების გამო. მაგრამ დიპლომატები მაინც არ დაელოდნენ პოზიტიურ ფონს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებაში მიღწეული პროგრესის შემდეგ დიპლომატები დღეს მარტივ სიტუაციაში არ იმყოფებიან.

მოსკოვში არ შეიძლებოდა არ შეენიშნათ, რომ ყველა საკითხზე, რომლებსაც დამოკიდებულება ჰქონდა უკრაინის კრიზისთან და რომლებიც განიხილებოდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებში, საქართველოს უკიდურესად ანტირუსული პოზიცია ეკავა. მისი წარმომადგენლები გაეროში ყირიმში რეფერენდუმის ლეგიტიმურობის აღიარების წინააღმდეგი იყვნენ. საქართველო სხვადასხვა დონეზე კვლავ მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ყველაზე მკაცრი სანქციების შემოღებას. დაბოლოს, სწორედ საქართველოს დელეგაციამ ლამის არ მოახდინა რუსეთისთვის ეუთოში ხმის უფლების ჩამორთმევის ინიციირება. თუმცა, თბილისში, ამავე დროს, მიმდინარეობდა მცირერიცხოვანი მიტინგები რუსეთის მოქმედების მხარდასაჭერად უკრაინის მიმართულებით, მაგრამ ქართული მხარის მოქმედებებისა და შეფასებების აღქმის ბალანსირება მოსკოვმა არ მოახდინა, თვით ეს მიტინგებიც ბევრს არაფერს წყვეტდნენ. თანაც იმის გათვალისწინებით, რომ იმავე დღეებში თბილისში მიმდინარეობდა გაცილებით მრავალრიცხოვანი აქციები საპირისპირო მიმართულებით.

მძიმე ფონი, რაც თან ახლდა აბაშიძისა და კარასინის შეხვედრას, რომლებიც შეთანხმების თანახმად განიხილავენ მხოლოდ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებს, გართულდა ნაკლებად სასიამოვნო ინციდენტით, რომელიც მოხდა წინა დღით სოფელ აძვის რაიონში. სოფელი საქართველო-ოსეთის საზღვარზე იმყოფება. აქ რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს ქართული ტელეკომპანია TB-3-ის გადამღები ჯგუფი. კომპანიის სამი თანამშრომელი გადასცეს სამხრეთი ოსეთის მხარეს, რომელმაც ისინი ადმინისტრაციულ შენობაში მიიყვანა მომხდარი ამბის მახლობლად, მეორე დღეს კი, თბილისის მონაცემებით, გადაიყვანეს ცხინვალის იზოლატორში.

სამხრეთი ოსეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის მურად ჯიოევის განცხადებით, „ქართველი ჟურნალისტები დააკავეს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო. მაგრამ მძღოლი, რომელიც გადამღებ ჯგუფს ემსახურებოდა, ამტკიცებს, რომ ჯგუფი საქართველოს მხარეზე „დააკავეს“. თავად იგი, საკუთარი სიტყვებით, მოშორებით იყო, ამიტომ გადაურჩა დაკავებას და მომხდარს შორიდან უყურებდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გოჩა რატიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „მომხდარის შესახებ ინფორმირებულია საერთაშორისო გაერთიანება, მათ შორის, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარე, ხოლო პრობლემის მოსაწესრიგებლად ზრუნავენ ქვეყნის საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროები“.

ინციდენტმა ჟურნალისტებთან დაკავშირებით კორექტივები შეიტანა პრაღის შეხვედრის დღის წესრიგში. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ აბაშიძეს დაავალა დაიწყოს მოლაპარაკება სწორედ ამ საკითხით.

მის რუს კოლეგას მომხდარის შესახებ სხვა ხედვა აქვს. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ **„სამი ქართველი ტელეჟურნალისტის უკანონო გადასვლა სამხრეთი ოსეთის საზღვრის იქით არის პროვოკაცია პრაღაში გრიგორი კარასინისა და ზურაბ აბაშიძის შეხვედრის წინ“**. რუსული მხარის მონაცემებით, „დამრღვევები წინასწარი განზრახვით დემონსტრაციულად გადავიდნენ საზღვრისპირა ქართულ სოფელ აძვიდან მის მეზობელ სამხრეთი ოსეთის დასახლებულ პუნქტში, სადაც დაიწყეს სასაზღვრო ინფრასტრუქტურის ვიდეოგადაღებები“.

„ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც პროვოკაციებს აწყობენ პრაღის სწორედ მორიგი შეხვედრის წინ. ეს ყოველივე, ისევე როგორც უკანასკნელ ხანებში გავრცელებული მონაგონი ამბავი საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის შესახებ რუსული თვითმფრინავებით“, მოწმობს იმის შესახებ, **რომ საქართველოს საზოგადოებაში კვლავ გრძელდება ბრძოლა იმ ძალებს შორის, რომლებიც ისწრაფვიან მოაწესრიგონ ურთიერთობანი რუსეთთან, და იმ ძალებს შორის, ვინც იზიარებს სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ კურსს მტრობის გამწვავებაზე“,** — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც მოთავსებულია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

◎ ალიან-ჩალიანი

სანდრა რულოვსმა გლობალური ფონდის ხელმძღვანელობა დატოვა

ჯანდაცვის პროგრამების მმართველობა, რომელსაც სანდრა რულოვსი ხელმძღვანელობდა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ცენტრმა გადაიბარა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან აცნობეს, საუბარია გლობალური ფონდის პროგრამების მმართველობის ცვლილებაზე.

„2014 წლის აპრილიდან, გლობალური ფონდის შიდსისა და ტუბერკულოზის პროგრამების განხორციელებას იბარებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი. დღესვე, ჯანდაცვის სამინისტრო, გლობალური ფონდის პროგრამების საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან შეათანხმებს საბჭოს ხელმძღვანელობის ახალი არჩევნების პროცედურებს. საბჭოს დღემდე სანდრა ელისაბედ რულოვსი ხელმძღვანელობდა.

აკრძალული საგნის შენახვის გამო, სამ მსჯავრდებულს ბრალი წარედგინა

— 2014 წლის 14 აპრილს მსჯავრდებულებს ი.ბ.-ს, ი.ლ.-სა და რ.კ.-ს საქართველოს სსკ-ის 3782-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა-ტარების და სარგებლობის ფაქტზე ბრალი წარედგინათ. გამოძიების მიხედვით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №14-ე დაწესებულებაში მოთავსებულმა მსჯავრდებულმა ი.ბ.-მ რენტგენის სურათებისთვის განკუთვნილი ფირების გამოყენებით თვითნაკეთი ბანქო დაამზადა, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

2014 წლის 5 თებერვალს, დაწესებულების თანამშრომლების მიერ ჩატარებული შემოწმება-დათვალიერებისას მსჯავრდებულ ი.ბ.-ს თვითნაკეთი ბანქო ჩამოერთვა.

ქარხნული წესით დამზადებული მექანიკური საპარსი მოწყობილობის დაშლის შედეგად მიღებულ ბასრ საგანს ინახავდნენ და ატარებდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №2-ე დაწესებულების მსჯავრდებულები ი.ლ. და რ.კ. აკრძალული საგანი დაწესებულების თანამშრომლებმა ი.ლ.-ს 2014 წლის 11 იანვარს ჩამოართვეს, ხოლო მსჯავრდებულ რ.კ.-ს 2013 წლის 16 ნოემბერს, — აცხადებენ უწყებაში.

მათივე განმარტებით, აღნიშნული მუხლით ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისში ნარკოდამნაშავე დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში ნასამართლევი, 1983 წელს დაბადებული პაატა მ. ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისა და შემოტანის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ნარკოტიკი თურქეთის რესპუბლიკიდან უკანონოდ შემოიტანა. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 10 შეკვრად დაფასოებული 1,7 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 1,24 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, პაატა მ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

სოფელ დიღომში მაშველებმა მგელი მოკლეს

სოფელ დიღომში მგლების გამო, სამაშველო სამსახურის გამოძახება გახდა საჭირო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან აცნობეს , სატელეფონო ზარი სოფელ დიღმის მოსახლეობისგან გუშინ გამთენიისას შევიდა. შემთხვევის ადგილზე სამაშველოს ჯგუფები გავიდნენ და ერთი მგელი მოკლეს.

ინტერპრესი

დედამიწის ზურგზე

ობამამ განაცხადა, რომ აშშ-ს არ სჭირდება ომი რუსეთის ფედერაციასთან უკრაინის გამო, და პუტინს ესმის, რომ ამერიკის არმია რუსეთისაზე უკეთესია

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ „ყირიმის ანექსია“ — ეს არის უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის „სრულიად ცხადი“ დარღვევა. ასევე ეჭვს არ იწვევს, რომ რუსეთი აგრძელებს სიტუაციის დესტაბილიზაციას, მხარს უჭერს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს, რომლებიც უკრაინის სამხრეთსა და აღმოსავლეთში მოქმედებენ.

* * *

გაეროს უშიშროების საბჭომ მოუწოდა რუსეთს, შეწყვიტოს „უკრაინული ზღაპრების“ მოყოლა

უშიშროების საბჭოს წევრებმა, როდესაც მოისმინეს გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის ივან შიმონოვიჩის მოხსენება უკრაინაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაციის შესახებ, მოითხოვეს რუსეთისგან შეწყვიტოს ცრუპროპაგანდის გაღვივება და „ზღაპრების“ მოყოლა, რომლებიც კიდევ უფრო მეტად ძაბავენ სიტუაციას რეგიონში. უშიშროების საბჭოს სხდომის დროს რუსეთი მარტო აღმოჩნდა.

* * *

ლავროვი ჟენევაში ჩაფრინდა, რათა უკრაინაში სიტუაციის დეესკალაციი განიხილოს. მოლაპარაკების დასავლელი მონაწილეები არ ელოდებიან გარღვევას და სანქციებს ამზადებენ

ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და უკრაინა, ალბათ, მოსთხოვენ რუსეთის ფედერაციას დაგმოს უწესრიგობანი აღმოსავლეთში, რის ორგანიზებაშიც დასავლეთი ბრალს სდებს რუსეთის მხარეს. შეთანხმების ალბათობა მცირეა. ევროპარლამენტი და ამერიკის შეერთებული შტატების თეთრი სახლი ამზადებენ სანქციებს შეხვედრის უშედეგო დამთავრების შემთხვევისთვის.

* * *

ლატვიას უწინასწარმეტყველებენ უკრაინის შემდეგ გახდეს „რუსეთის იმპერიის აღდგენის“ შემდეგი მსხვერპლი

უკრაინა — არ არის რუსეთის აგრესიის ერთადერთი ადრესატი, მიიჩნია ევროპარლამენტის დეპუტატს პოლონეთიდან იაცეკ სარიუშ-ვოლსკის. ყირიმის მიერთების შემდეგ მღელვარე მოქმედებები შეინიშნება ლატვიაშიც, განაცხადა მან, და შეგვახსენა საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებთა აზრის გამოკვლევა, რომ თითქოსდა ლატვიაში მიმდინარე მოვლენები, რომლებსაც ახორციელებენ რუსი სპეცსამსახურები, მოგვაგონებს იმას, რაც ხდებოდა ყირიმში რუსეთის ფედერაციასთან შეერთებამდე.



ქართველ დეპუტატთა ჯიბეები 10 პროცენტით „შეთხელდება“

ძართველი დეპუტატები მარტის ხელფასს დანაკლისით აიღებენ. კანონმდებლები გაცდენების გამო „დაისჯებიან“ და მათი ხელფასის 10 პროცენტი, სავარაუდოდ, ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს მოხმარდება.

მერვე მოწვევის პარლამენტი მეორე წელია, რაც ფუნქციონირებს, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარემ სანქციების ამოქმედებას მხარი ახლა დაუჭირა.

როგორც ჩანს, დავით უსუფაშვილი იმ სტატისტიკამ გააღიზიანა, რომელიც პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ სპიკერის დავალებითვე მოამზადა.

გიორგი კახიანის მიერ მომზადებული დოკუმენტი ნათლად ასახავს იმ სურათს, რის შესახებაც for.ge გამუდმებით იუწყებოდა. კანონმდებელთა ნაწილი უწყებაში არ ცხადდებოდა, თვიურ ანაზღაურებას კი, ისინი დანაკლისის გარეშე იღებდნენ.

გარდა იმისა, რომ პლენარულ სხდომებსა და კომიტეტებზე კვორუმის პრობლემა მუდმივად იყო, კანონმდებლები რეგლამენტს არღვევდნენ და გაცდენის საპატიო მიზეზებით მანიპულირებდნენ.

კერძოდ, კანონმდებელთა უმეტესობამ თავის სასიკეთოდ რეგლამენტში არსებული ჩანაწერი „ოჯახურ მდგომარეობა“ გამოიყენა და ამ მიზეზით 811 გაცდენა დაფიქსირდა.

უნდა ითქვას, რომ ამ ჩანაწერით განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ისარგებლეს. როლანდ ახალაიამ 38 სხდომიდან 26 სხდომა გააცდინა, სადაც 25 შემთხვევაში „ოჯახური მდგომარეობა“ მიუთითა. დავით ბაქრაძემ 25 პლენარული სხდომა გააცდინა, მაგრამ ხუთი „ოჯახური მდგომარეობის“ გამო.

თანაგუნდელებს არც სხვა ლიდერები ჩამორჩენ, რომელთა შორის არიან - 29 გაცდენით (15 ოჯახური მდგომარეობის მოტივით) გიორგი ბარამიძე, 15 გაცდენით (13 ოჯახური მოტივით) ლევან ბეჟუაშვილი, 20 გაცდენით (11 ოჯახური მიზეზი) თინა ბოკუჩავა, 24 გაცდენით (11 ოჯახური მოტივი) ხათუნა გოგორიშვილი, 13 გაცდენით დავით დარჩიაშვილი, 22 გაცდენით (13 ოჯახური მოტივი) გიორგი ვაშაძე, 14 გაცდენით ჩიორრა თაქთაქიშვილი, 20 გაცდენით (16 ოჯახური მოტივის გამო) გივი თარგამაძე, 24 გაცდენით გიორგი კანდელაკი, 21 გაცდენით (17 ოჯახური მოტივი) გიორგი კარბელაშვილი, 18 გაცდენით (14 ოჯახური მოტივი) მიხეილ მაჭავარიანი, 18 გაცდენით (14 ოჯახური მოტივით) ირმა ნადირაშვილი, 22 გაცდენით (13 ოჯახური მოტივით) შოთა მალაშხია, 23 გაცდენით (20 ოჯახური მოტივით) დავით საყვარელიძე, 18 გაცდენით (11 ოჯახური მოტივით) პეტრე ცისკარიშვილი, 19 გაცდენით (17 ოჯახური მოტივით) გიორგი ღვინიაშვილი, 15 გაცდენით (13 ოჯახური მოტივი) გიორგი მელაძე, 21 გაცდენით (15 ოჯახური მოტივი) კობა სუბელიანი, 18 გაცდენით (10 ოჯახური მოტივი) გიგი წერეთელი, 20 გაცდენით (15 ოჯახური მოტივი) გოგა ხაჩიძე.

აღსანიშნავია, რომ **უმცირესობაში სხდომების გაცდენების თვალსაზრისით, კატასტროფული მაჩვენებელი აქვს რამდენიმე დეპუტატს, მათ შორის, 38 სხდომიდან პაატა ლეჟავა 35 სხდომას არ დაესწრო და მან 22 შემთხვევაში „ოჯახური მოტივი“ დაასახელა. ასევე მძიმე ვითარება აქვს ზაზა კედელაშვილს, რომელიც 27 სხდომას არ დაესწრო და 26 შემთხვევაში მოტივად ოჯახი დაასახელა.**

თანაგუნდელების მსგავსად, **სხდომებს არ სყალობდნენ — კობა ნაყოფია (32 სხდომა აქვს გაცდენილი, 25 — ოჯახური მოტივით), რამაზ ნიკოლაიშვილი (35 სხდომა აქვს გაცდენილი, 26 — ოჯახური მოტივით), გოგი ოჩიაური (34 სხდომა აქვს გაცდენილი, 27 — ოჯახური მოტივით), მარიამ საჯაია (36 სხდომა აქვს გაცდენილი, 13 — ოჯახური მოტივით), აზერ სულეიმანოვი (35 სხდომა აქვს გაცდენილი, 28 — ოჯახური მოტივით), ლევან ქარდავა (33 სხდომა აქვს გაცდენილი, 27 — ოჯახური მოტივით) და ნიკოლოზ ყოფშიძე (35 სხდომა აქვს გაცდენილი).**

უნდა ითქვას, რომ **უმცირესობაში დასწრების კუთხით, ყველაზე მოწესრიგებული სერგო რატიანი აღმოჩნდა, რომელმაც 38 სხდომიდან მხოლოდ 4 სხდომა გააცდინა.**

რაც შეეხება **უმრავლესობის წევრთა სხდომებზე დასწრების საკითხს, მმართველ გუნდში გამორჩეული 13 დეპუტატი აღმოჩნდა, რომელთაც 38 სხდომა არ გააცდინეს და ქუთაისში გამოცხადდნენ. მათ რიგებში არიან — თამაზ ავდალიანი, გიორგი კახიანი, მალხაზ დარზიევი, მალხაზ ვახტანგიშვილი, თამაზ მეჭიაური, მირიან წიკლაური, ვახტანგ ხმალაძე, როსტომ ხალვაში, თამაზ შიოშვილი, პაატა კვიჟინაძე, გიგა ბუკია და რუსლან პოლოსიანი.**

უმრავლესობაში ყველაზე მეტი გაცდენა აქვთ — თინა ხიდაშელს (12 გაცდენა აქვს, სადაც 11 შემთხვევაში მივლინება აქვს მითითებული), ლერი ხაბელოვს (10 სხდომა აქვს გაცდენილი), თედო ჯაფარიძეს (19 გაცდენა აქვს, 15 შემთხვევაში მივლინება აქვს მითითებული), თემურ მაისურაძეს (12 სხდომა აქვს გაცდენილი), დავით საგანელიძეს (15 გაცდენა აქვს, 10 შემთხვევაში მოტივად ოჯახურ მდგომარეობას ასახელებს), გუგული მაღრაძეს (12 გაცდენა აქვს), ზვიად კვაჭანტირაძეს (10 გაცდენა), ზაზა პაპუაშვილს (13 გაცდენა აქვს).

ოპონენტებს სხდომების გაცდენების თვალსაზრისით, არც უმცირესობა-უმრავლესობის გარეთ მყოფი დეპუტატები ჩამორჩენ, რომელთა შორის არიან - კახა ოქრიაშვილი (12 სხდომა გააცდინა), გურამ მისაბიშვილი (23 გაცდენა აქვს, 19 შემთხვევაში ოჯახურ მოტივს უთითებს), დავით ბეჟუაშვილი (19 სხდომა აქვს გაცდენილი), გოდერძი ბუკია (25 სხდომა აქვს გაცდენილი, 24 შემთხვევაში მითითებული აქვს ოჯახური მიზეზები), გოგი ლიპარტელიანი (30 სხდომა აქვს გაცდენილი).

თუ რა ინტენსივობით დადიან კანონმდებლები პარლამენტში, ამის თაობაზე გარკვეული შეხედულება საზოგადოებას ზემოთ წარდგენილი სტატისტიკიდან გამომდინარე შეექმნება, მაგრამ განსაკუთრებით კატასტროფული ვითარებაა კომიტეტებში, სადაც კვორუმის გამო ხშირად, სხდომები რამდენიმე საათის დაგვიანებით იწყება.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ანგარიშის მიხედვით, 2013 წლის 1 აგვისტოდან 2014 წლის 13 მარტამდე, თუ 38 პლენარული სხდომაზე საბოლოო ჯამში 1701 გაცდენა დაფიქსირდა, კომიტეტების შემთხვევაში, 2103 გაცდენა დაფიქსირდა, საიდანაც არასაპატიოდ 310 შემთხვევა ჩაითვალა.

იმის მიუხედავად, რომ კანონმდებელთა ნაწილი სხდომებს არ ესწრებოდა, მათ რეგლამენტისამებრ ხელფასის 10 პროცენტი არ დაქვითვიათ და ამას ადასტურებს გიორგი კახიანიც.

კახიანის ინფორმაციით, **დეპუტატთა დასწრების რეალობა არ მოწმდება და ყველა გაცდენა საპატიოდ ითვლებოდა.**

მისი თქმით, **პარლამენტის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო ხელფასის დაქვითვის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.**

საგულისხმოა ერთი დეტალიც. **თუ კანონმდებელთა ერთი ნაწილი „ოჯახური მდგომარეობის“ მოტივით მანიპულირებს და სხდომებს ამ მიზეზით აცდენს, მეორე ნაწილი მივლინების ჩანაწერით სარგებლობს. კერძოდ, როგორც სტატისტიკიდან ირკვევა, 211 სამსახურებრივი მივლინებიდან 60 მივლინების არსებობის ფაქტი ცნობით არ დასტურდება.**

უნდა ითქვას, რომ დეპუტატები მივლინებისა და „ოჯახური მდგომარეობის“ გარდა, ავადმყოფობის ფაქტებითაც მანიპულირებენ და როგორც გაირკვა, ავადმყოფობის 118 შემთხვევიდან პარლამენტში შესაბამისი ცნობა მხოლოდ 33 შემთხვევაში იქნა წარდგენილი.

სხდომების გაცდენის კუთხით, **დეპუტატები რეგლამენტში არსებული ჩანაწერებით რომ მანიპილურებენ, ეს იმ კურიოზული ფაქტიდანაც ჩანს, რომელიც სტატისტიკაშია ასახული. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, პარლამენტში 127 ისეთი შემთხვევა დადასტურდა, როცა დეპუტატის მიერ წერილობითი ფორმა არის წარდგენილი, რომ სხდომას ვერ დაესწრება, მაგრამ დილა-საღამოს მას რეგისტრაცია აქვს გავლილი. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ამ პირების პულტებით მათმა კოლეგებმა ისარგებლეს, რაც რეგლამენტის დარღვევაა, ან მათ სხდომის გაცდენა გადაიფიქრეს და მიმართვაც არ გააუქმეს.**

კვორუმის პრობლემა ამ მოწვევის პარლამენტის „აქილევსის ქუსლი“ რომ არის, ეს ახალი არ არის, მაგრამ სანქციების ამოქმედების შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება ნამდვილად სიახლეს წარმოადგენს.

თუ ცოტა ხნის წინ, for.ge-ს დავით უსუფაშვილმა „ურჩია“, რომ კანონმდებელთა დასწრება თავად გაგვეკონტროლებინა და ისიც გაგვერკვია, სად დადიოდნენ „ურჩი“ დეპუტატები, როგორც ჩანს, სპიკერი კვორუმის პრობლემამ თავადაც შეაწუხა.

თეონა მანაგაძე

◎ კაკალ გულში

ნერგილოვანი ფრაზები

● **მერობის კანდიდატები პარასკევს წითლად რო შევღებოთ, ერთმანეთზე თავები მივაჭახუნებინოთ და მოგებული ისე გამოვავლინოთ, არა?**

● **იმდენს იზამთ, რომ აღდგომაზე ნარმანია კვერცხებს სხვას გაატანს და თვითონ თბილისში დარჩება.**

● **მართლა სერიოზულად მაინტერესებს, რომელი მერობის კანდიდატს აძლევთ ხმას და რატომ?**

ნარმანიას — ბიძინას ხათრით! მელიას — იმიტომ რო დეგენერატი ვარ! ასმათ ტყაბლაძეს — ვგიუდები „ჩემი ცოლის დაქალებზე“! და ლორთქიფანიძეს — ბურჯანაძის ხათრით!

აბა მოყევით!

● **ტუი არმსტრონგი აღარ გვყავს.**

● **მორატორიუმის მერე დაკითხვაზე დაბარება ძველშუმერული გამოთქმაა და ქართულად ფოჩიან კანფეტს ნიშნავს.**

● **ისე დადის ნარმანია, თითქოს ჯორჯო არმანია, დაპირებებს არ იშურებს, — ძერჟი შირე კარმანია, ხანდახან არ მევასება, ხანდახანაც ნარმალნია.**

● **მერის არჩევნებზე რომ ვფიქრობ, ერთი აზრი მიტრიალებს ხოლმე თავში და რა ვქნა! სულ მახსენდება საპრეზიდენტო არჩევნები და არა მხოლოდ იმიტომ, რომ გავს ეს ორი სიტუაცია ერთმანეთს „ხათრის“ ამბავში, არამედ იმიტომ, რომ ძალიანაც ბეჭედდარტყმული, გადაწყვეტილი და განხილვას დაუქვემდებარებელი მგონია ნარმანიას ამბავი! ამას პლიუს — ნაკლებად მაქვს იმის განცდა, რომ მარგველაშვილის მსგავსად სინამდვილეში რამეს ელიან ნარმანიასგან — სიჩუმეს, თუ არ ჩავთვლით ჭკვიანად მოქცევას. ჩემი მოკრძალებული ტვინით, ნარმანიაც ისეთივე ბუტაფორია იქნება, როგორც ჩვენი ქვეყნის მთავრსარდალია ახლა! ანუ სლოგანი — „თბილისს არავის დავუთმობთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება“, კვლავაც ინ ექშენ სუბსტანციაშია და ნურავინ ჩათვლის, თითქოს ნიჰილიზმმა ან აპათიამ შეიპყრო ჩემი ფაქიზი სული. არა, უბრალოდ სიმართლემ მითხრა — თვალებში ჩამხედეო.**

● **საქართველოს რომელიმე რაიონში ქალბატონი თუ არის გამგებელი? (არ მითხრათ ხათუნა ბერძენიშვილი ან ოჩიაური. ბერძენიშვილის გამგებლობის ამბავიც, ოჩიაურის გუბერნატორობის და სევდიას მერობაც, ვიცით).**

თუ გაქვთ ინფორმაცია, ბოლოს როდის იყო გამგებლის თანამდებობაზე ვინმე ქალბატონი, ისიც მითხარით საკრებულოს თავმჯდომარე თუ არის ვინმე?

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

სტამბოლში 33 წლის ქართველი ქალის ცხედარი იპოვეს

თელაველი 33 წლის ნინო საიქოძის ცხედარი დაქირავებულ ბინაში მისმა მეგობარმა ქალმა ნახა. წინასწარი ინფორმაციით, საიქოძე გაზით გაიგუდა, თუმცა, ოჯახის წევრები არ გამორიცხავენ, რომ ის მოკლულია. ოჯახი მომხდარის რეალურად დადგენას და ცხედრის საქართველოში დროულად გადმოსვენებაში დახმარებას ითხოვს.

ნინო საიქოძე თურქეთში 3 თვის წინ წავიდა და მოხუცის მომვლელად მუშაობდა. გარდაცვლილს საქართველოში ავადმყოფი ქმარი და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

მღინარე ყვირილაში 19 წლის გოგონას ეძებენ

არსებული ინფორმაციით, გოგონამ თვითმკვლელობის გადაწყვეტილება მეუღლესთან კამათის შემდეგ მიიღო. შემთხვევა საჩხერეში მოხდა.

სამძებრო სამუშაოებს იმერეთის საგანგებო სიტუაციების სამსახური საჩხერის სახანძრო-სამაშველო სამსახურთან ერთად ახორციელებს.

როგორც იმერეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის მოადგილე, აკაკი ტყავაძემ განაცხადა, სამძებრო სამუშაოებს წყლის ჩქარი დინება და სიცივე უშლის ხელს, ამიტომ ადგილზე შსს-ს მაშველებს ელოდებიან.

ინტერპრესი

◎ ევროლიგა

ჰიკმანის სუპერმატჩი მილანში

საძართველოს საკალათბურთო ნაკრების წევრ რიკი ჰიკმანის ბრწყინვალე თამაშის წყალობით თელ-ავივის „მაკაბიმ“ მილანში „ემპორიო არმანის“ სუპერმატჩი „შემოუტრიალა“ და ევროლიგის პლეი ოფის პირველ მატჩში 101:99 იმარჯვა.

იტალიური გუნდი, რომელიც „ოთხთა ფინალში“ გასვლის შემთხვევაში მინი-ტურნირის მასპინძელიც იქნება, თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ლიდერობდა. მილანელები დასკვნით მეოთხედს 12-ქულიანი უპირატესობით შეხვდნენ და იგივე სხვაობა იყო, როდესაც საფინალო სირენამდე 2 წუთი რჩებოდა. ამ დროში აღნიშნული ჩამორჩენის აღმოფხვრა თითქოს წარმოუდგენელი ჩანდა, თუმცა...

ხსენებულ ორიოდ წუთში რიკი ჰიკმანმა 6 ქულა ჩააგდო, რასაც მაკაბელთა კიდევ ერთმა ამერიკელმა კალათბურთელმა ტაირის რაისმა 9 წაამატა, „ემპორიო არმანიმ“ კი მხოლოდ 3 ქულა მიითვალა და თამაში ოვერტაიმში გადავიდა.

საინტერესოა, რომ ჰიკმანს და რაისს ტემპი არც ოვერტაიმში დაუგდიათ და თელ-ავიველთა 14 ქულიდან 12 საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერეს, უფრო მეტად კი საქართველოს ნაკრების უკანახაზელი გამოირჩა. რიკიმ დამატებით ხუთწუთეულში 8 ქულა მიითვალა, ამასთან, უკანასკნელ 30 წამში 6-ვე საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა და სტუმრებს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

საბოლოოდ, ჰიკმანმა მოედანზე გატარებულ 32 წუთში (სტუმართა რიგებში ყველაზე მეტხანს ითამაშა) 26 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. რიკიმ 7-დან 4 ორქულიანი, 3-ვე სამქულიანი და 9-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 3-ჯერ დაჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები ერთბაშად 10-ჯერ დაირღვა.

შედეგად, ჰიკმანის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 36-ს უწია და რადგანაც ეს პლეი ოფის პირველი ტურის შეხვედრებში საუკეთესო მაჩვენებელია, მას უძვირფასესი მოთამაშის (MVP) ტიტული თითქმის გარანტირებული აქვს.

კობა კობახიძე

◎ ადამიანი დროში

მარილაც საამაყო

თამაზ ჯაში ის კაცია, ვისაც წონიანი სიტყვა ეთქმის სპორტულ სამყაროში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატის კარიერას გვირგვინად უმაღლეს სასწავლებელთა საკავშირო პირველობაზე მოპოვებული ვერცხლის მედალი ადგას, თუმცა რესპუბლიკის პირველობის საუკეთესო ბომბარდირობითა და თასის გათამაშების ფინალისტობითაც არანაკლებ ამაყობს.

მისი ოსტატობის ბარომეტრად თბილისის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიაში“ მიწვევაც გამოდგება, თუმცა, ვფიქრობთ, გამორჩეულად დასაფასებელია სამწვრთნელო მოღვაწეობის პერიოდში აღზრდილ ფეხბურთელთა სიმრავლე, რომლებიც სხვადასხვა დროს წარმატებით თამაშობდნენ როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ეროვნული ჩემპიონატების უმაღლესი ლიგის გუნდებში, ისე პირველი და ახალგაზრდული ნაკრებების შემადგენლობაში.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლისა და ამავე უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულზე როცა ვსაუბრობთ, განსაკუთრებული პატივი უნდა მივაგოთ მის მიერ რკინიგზელთა დამრიგებლად გატარებულ ნაყოფიერ წლებს, რომელმაც მოიცვა „ლოკომოტივის“ ბავშვთა და მოზარდთა სკოლის მწვრთნელობა, უფროსი მწვრთნელობა, დირექტორობა და ბოლოს, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის გარიჟრაჟზე — პირველი ეროვნული ჩემპიონატის ღირსეული მონაწილის, სასახელო ტრადიციებით მადლცხებული დედაქალაქის „ლოკომოტივის“ თავკაცობა.

ალბათ, ბევრი კოლეგა ინატრებდა ასოცირებული პროფესორის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის პედაგოგიურ მონაგარს. ამ შთამბეჭდავ ნუსხას სხვადასხვა რეფერირებული და სპორტული გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ სამეცნიერო და სპორტული ხასიათის

სტატიებთან ერთად თენგიზ რატიანთან თანაავტორობით შექმნილი ფეხბურთის სახელმძღვანელო და სპორტის საყვარელ სახეობაში სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის (საჯარო სკოლების VII-XII კლასები) შედგენილი გზამკვლევი ამშვენებენ.

დაგვეთანხმებით, 65 წლის საშუალოგაზრდისთვის ესეც საკმარისია. ჰოდა, ვიმედოვნებთ, კიდევ არაერთხელ მოგვეცემა ამ ჯიგრიანი პიროვნების ნაკაიკაცარზე სასაუბროდ სათანადო საბაბი. მანამდე კი... მრავალჟამიერ, ძვირფასო ბატონო თამაზ!

გია პლატონიშვილი

◎ კალათბურთი

ნბა-ში პლეი ოფის წყვილები გაირკვა

ეროვნული **საკალათბურთო ასოციაციის (NBA) რეგულარული სეზონის დასრულების შემდეგ პლეი ოფის ყველა წყვილის შემადგენლობა გახდა ცნობილი. პლეი ოფის თამაშები სტარტს 19 აპრილიდან აიღებს, საჭიროების შემთხვევაში კი ბოლო შეხვედრები 4 მაისს ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ სერია ოთხ მოგებამდე გაგრძელდება.**

აღმოსავლეთ კონფერენცია

„ინდიანა“ (1) — „ატლანტა“ (8).
„მაიამი“ (2) — „შარლოტი“ (7).
„ტორონტო“ (3) — „ბრუკლინი“ (6).
„ჩიკაგო“ (4) — „ვაშინგტონი“ (5).

დასავლეთ კონფერენცია

„სან ანტონიო“ (1) — „დალასი“ (8).
„ოკლაჰომა სიტი“ (2) — „მემფისი“ (7).
„კლიპერსი“ (3) — „გოლდენ სტეიტი“ (6).
„ჰიუსტონი“ (4) — „პორტლენდი“ (5).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

მეშვიდე და სამართალი!

ესპანეთის „სამეფო თასის“ გათამაშების ფინალს მეცხრედ უმასპინძლა ვალენსიის „მესტალიას“ სტადიონმა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსისხლე მტრების — „ბარსელონასა“ და „რეალის“ სატიტულო ბრძოლა მეშვიდედ გაიმართა და აქამდე არსებული თანაფარდობა — 3:3 კასტილიელთა სასარგებლოდ დაირღვა — კარლო ანჩელოტის გუნდმა ტრავმირებული კრიშტიანუ რონალდუს გარეშეც მოიგო მატჩი 2:1 და ისტორიაში მე-19-ედ აღმართა პრესტიჟული ჯილდო, რითაც „ბილბაოს“ დაეწია. სათასო რბოლაში ლიდერობას კატალონიელები ინარჩუნებენ 23 ტრიუმფით.

და ბოლოს, ციფრების ენით საუბარს შემდეგი ფაქტით დავასრულებთ: აღნიშნული გამარჯვებით „სამეფო კლუბმა“ კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა „ელ კლასიკოების“ განმავლობაში — 91:88.

განსაკუთრებულად უნდა დაფასდეს დედაქალაქელთა უელსელი „რაკეტის“ გარეთ ბეილის წვლილი პარტნიორთა წარმატებაში, მის მიერ უზადო ინდივიდუალური ოსტატობით გატანილი გადამწყვეტი ბურთი კი, დაგვეთანხმებით, სეზონის საუკეთესო გოლის ნომინაციაზე განაცხადებს პრეტენზიას.

გიორგი შოთაძე

კიევის „დინამო“: ბლოხინის ნაცვლად - რებროვი

ლეგენდარული ოლეგ ბლოხინი კიევის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი აღარაა. კლუბის ხელმძღვანელობამ მის მიერ ნაჩვენები შედეგები არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია და პოსტიდან გაათავისუფლა. კიეველებმა უკრაინის პრემიერლიგის პრინციპული მატჩი წააგეს შინ "შახტართან" — 0:2 და მესამე ადგილზე არიან.

„დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა მწვრთნელად სერგეი რებროვი დანიშნა, რომელიც სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს გუნდს. თუმცა, არაა გამორიცხული, რებროვი შემდეგაც დატოვონ პოსტზე, თუ სურკისს მისი მუშაობა მოეწონება.

რებროვი, გეცოდინებათ, კიევის „დინამოს“ ბომბარდირი გახლდათ და ბრწყინვალე დუეტს ქმნიდა ანდრეი შევჩენკოსთან ერთად.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ვულოცავთ!

მადლობა სიკეთისთვის

ძართული **სპორტის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ უნიჭიერესი სპორტსმენის, მხატვრული ტანვარჯიშის შესანიშნავი წარმომადგენლის ნელი სალაძის წარმატებები საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. თავის ცოდნას და გამოცდილებას, სპორტის ამ ულამაზესი სახეობის სიყვარულს ქალბატონი ნელი დღეს ახალგაზრდა თაობას გადასცემს. უდავოდ საამაყოა, რომ საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის ხელმძღვანელი ლონდონში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს და საერთაშორისო ორგანიზაციებმა რეიტინგებში ქალბატონი ნელი სალაძე გასული საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.**

ძალიან ბევრი რამ შეიძლება დაიწეროს ქალბატონი ნელი სალაძის მიღწევებზე, მის მიერ აღზრდილ ჩემპიონებზე. ცალკე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე მისი კეთილშობილება, ქველმოქმედება და ჰუმანურობა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ადამიანების მიმართ ქალბატონი ნელის მიერ გაწეული დახმარებები განუზომელია. ისევე, როგორც ის გულისხმიერება, რასაც იჩენს გასაჭირში მყოფი ყველა ადამიანის მიმართ. დიახაც, უდავოდ დასაფასებელი და სამაგალითოა მის მიერ დათესილი ყველა სიკეთე.

ვულოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს ქალბატონ ნელი სალაძეს, მის დიდ ოჯახს, აღსაზრდელებს. დაე, უფალი ფარავდეს ამ კეთილშობილ ქალბატონს და მუდამ ჰქონდეს ძალა კეთილი საქმეების საკეთებლად, რაც მას უხვად აქვს ჩაფიქრებული.

გია გაბრიჭიძე

◎ პოზიცია

იქნებ ჯერ ხალხის აზრი ეკითხათ...

ძვეძნის საგარეო პოლიტიკის ვექტორის მიმართულების გამო ატეხილმა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, რომლის გამოხატვის პიკი კიევში ევრომაიდანზე განვითარებული მოვლენები გახდა, ყველას თვალნათლივ დაგვანახვა, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ ინტერესთა დაპირისპირების ასპარეზად ნებისმიერი ქვეყანა შეიძლება იქცეს.

ჩვენთანაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ბევრ საკითხზე „დიდი ჯახია“, მაგრამ ერთ საკითხში ისინი ერთსულოვანი არიან: ევროკავშირში ინტეგრირების კურსი მართებულია და უცვლელიაო.

მაგრამ საქართველოს ყველა მოქალაქე არის ამავე აზრის? მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი დავით ძიძინაძე?

— მოსახლეობის სადღეისო მდგომარეობა, მისი უმძიმესი სოციალური, საყოფაცხოვრებო, მატერიალური მდგომარეობა ყველამ კარგად ვიცით, — ამბობს ბატონი დავითი. —ეს, უწინარესად, მოსახლეობის დაუსაქმებლობით, დაბალი ხელფასებით, მაღალი კომუნალური გადასახადებით, ჯანდაცვისა და სამკურნალო საშუალებების სიძვირით, კიდევ მრავალი სხვა სოციალური თუ ყოფითი პრობლემითაა განპირობებული.

მართალია, ყოფილი საბჭოთა კავშირის პირობებში მოსამსახურეთა ხელფასები დიდი არ იყო, სამაგიეროდ, ეს ხარვეზი მეტად მძლავრი სოციალური პაკეტით ნაზღაურდებოდა. ამ თეზისის სამართლიანობაში თუნდაც მისი მიმართულებების უბრალო ჩამონათვალიც დაგვარწმუნებს: ეს იყო უფასო სამედიცინო მომსახურება, საშუალო და უმაღლესი განათლება, დაბალი კომუნალური გადასახადები, პირველი მოთხოვნილებისა და კვების პროდუქტებზე დაბალი ფასები, ათასგვარი პროფკავშირული შეღავათები.

პირადად მე თუ მკითხავს კაცი, საქართველოს არანაირ კავშირში, თუნდაც ევროკავშირში, გაწევრების მომხრე არა ვარ, რადგანაც თავისუფლების მხარდამჭერი გახლავართ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა პროდუქცია გვაქვს ისეთი, რომელიც ევროკავ-

შირის ბაზრის სტანდარტებს დაკმაყოფილებს და ღირსეულ კონკურენციას გაუწევს იქ უკვე წლების მანძილზე დამკვიდრებულ საქონელს? „ბორჯომი“ რომ „ბორჯომია“, რომლითაც ასე მოგვაქვს თავი, ისიც კი არ შეესატყვისება შესაბამის ევროსტანდარტს სპეციფიკური, ქიმიურ-მინერალური შემადგენლობის გამო! სხვებზე რაღა გვეთქმის?! ლაპარაკი საზღვარგარეთ წელიწადში თუნდაც მილიონ, გნებავთ, ორ და სამ მილიონ გაყიდულ ბოთლ ღვინოზე ხომ სასაცილოც არ არის...

ამდენად, ისმება კითხვა: **ვინ მოგვცემს იმდენ ფულს, რომ ჩვენი პროდუქცია ევროსტანდარტების შესაბამის კონდიციამდე მივიყვანოთ? ამის თაობაზე რატომ არავინ არ ლაპარაკობს?! იქნებ ვინმემ განგვიმარტოს, სად არის ის ფინანსები, რომელიც საქართველოს ეკონომიკის კვლავ აღჭურვას სჭირდება? რეალურად კი ისეთი სურათი იკვეთება, რომ, პირიქით, საქართველო ხდება ევროკავშირისთვის თავისი საქონლის გასაღების დამატებითი ბაზარი, ადგილობრივი მეწარმეები კი საკუთარ წარმოებაშიც შეიზღუდებიან, რადგან მათი პროდუქცია უკვე ქვეყანაში დაშვებული სტანდარტების შესაბამისი აღარ იქნება! ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ეს სტანდარტები კვების პროდუქტებსაც, ესე იგი სამამულო სოფლის მეურნეობასაც ეხება...**

ყოველივე ზემოთქმულიდან და კიდევ ბევრი სხვა გარემოებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საკითხზე — გვინდა თუ არა ევროკავშირის წევრობა — საქართველოში სულ მცირე პლებისციტი მაინც უნდა ჩატარებულიყო, რათა არჩევანი ხალხს გაეკეთებინა და არა ცალკე აღებულ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს. **მოსახლეობას უფლება აქვს, კონკრეტულად იცოდეს, რა პლუსები და მინუსები აქვს ევროკავშირში გაწევრებას, რა კეთილდღეობა, ან, პირიქით, რა პრობლემები ელის მას ევროპაში.**

ბევრმა ჩემი პოზიცია შესაძლოა არ გაიზიაროს, ეს, ცხადია, მათი ნებაა, მაგრამ, რაც ვილაპარაკე, ვფიქრობ, ობიექტური რეალობაა, საკუთარი დასკვნების გამოტანა კი ნებისმიერი მოქალაქის უფლებაა.

ოთარ ტურაბელიძე

რეკლამა **გ. ახვლედიანის ქ.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84.

ზურაბ ლომიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო კოლეგიის ყოფილი თავმჯდომარე

გურამ მელივა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი ზოოსაინჟინრო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ფაკულტეტის ყოფილი დეკანი 1976-1991 წლებში, ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ახალგაზრდების აღმზრდელი, ქომაგი და მრჩეველი, ღირსების ორდენის კავალერი

ვარდენ პეტრეს ძე ლობჟანიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

თინა, ნუგზარ იზორიები, ჩიტო, ჯემალ კვირტიები, ოთარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, ზურაბ გოგოხია, გივი სოსელია, იური გუგუჩია, ვაჟა ფიფია თანაუგრძნობენ ქალბატონ როზა ჯიქიას მეუღლის

მურთაზ იაშვილის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

მოქალაქეებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის რაიონულ სამმართველოში სოფელ დილისკაში მცხოვრებმა, 1968 წელს დაბადებულმა სურიკ მ-მ, სოფელ ოკამში მცხოვრებმა, 1975 წელს დაბადებულმა მერაბ ნ-მ და სოფელ ორჯაში მცხოვრებმა, 1985 წელს დაბადებულმა გაგიკ ბ-მ წარმოადგინეს და ნებაყოფლობით ჩააბარეს: გადაჭრილი სანადირო თოფი, „ეფ-1“-ის ტიპის 2 ხელყუმბარა, „ერ-გე-42“-ის ტიპის 1 ხელყუმბარა, ხელყუმბარის 3 დეტონატორი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის სხვადასხვა კალიბრის 18 საბრძოლო ვაზნა, „ტე-ტე“-ს სისტემის 1 ცეცხლსასროლი იარაღი 2 მჭიდით და 5 საბრძოლო ვაზნით, 400 გრ ფეთქებადი ნივთიერება ტროტილი, „ა-კა-ეს“-ის სისტემის 1 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდითა და 60 საბრძოლო ვაზნით.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

ინტერპრესი

◎ ჩვენი კარაბადინი

იოგაში ძალაა

ონკოლოგები აღიარებენ **იოგისა და მედიტაციის სარგებლიანობას ავადმყოფებისთვის დასხივების შემდეგ და გვთავაზობენ ჩავრთოთ იოგის, მედიტაციისა და რელაქსაციის პროგრამები თერაპიის ოფიციალურ კურსში.**

გამოკვლევაში 200 პაციენტი ქალბატონი მონაწილეობდა — ყველა მათგანს ჰქონდა მკერდის კიბო სხვადასხვა სტადიაში. მათგან ერთი მესამედი ასრულებდა ვარჯიშებს ჰატხა-იოგას მედიტაციის ელემენტებით, ერთი მესამედი — ჩვეულებრივ ვარჯიშებს აჭიმვებსა და სახსრების გამაგრებაზე, და კიდევ ერთი მესამედი — არ ასრულებდა არანაირ ვარჯიშებს.

ქალები, რომლებიც რეგულარულად ასრულებდნენ იოგას, განიცდიდნენ უფრო ნაკლებ სტრესსა და დაღლილობას დაკვირვების რამდენიმე თვის განმავლობაში, ვიდრე დანარჩენი ჯგუფების წარმომადგენლები. უფრო მეტიც, ისინი სხვებზე უფრო ხშირად ფსიქოლოგიურ კონსულტაციებზე საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ კიბოს მკურნალობის პერიოდი დაეხმარა მათ გაეგოთ რაღაც ახალი რამ ცხოვრების ღირებულებასა და არსის შესახებ.

მუობლიური ხმა

მეგობრებად ვირჩევთ მათ, ვისი ხმაც ჩვენსას ჰგავს, გამოარკვიეს მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ამა თუ იმ ადამიანის ხმისთვის დამახასიათებელი უნიკალური აკუსტიკური ნიშნები, გარკვეული ნოტები გაცნობის დროს გვევლინებიან ერთგვარ „სიგნალად“. მეგობრებად ვირჩევთ მათ,ვისი სიგნალებიც ჩვენსას ემთხვევიან.

მკვლევარებმა აღმოაჩინეს აგრეთვე გარკვეული კოდები იმ ადამიანთა ხმებში, ვისაც უნდათ მეგობრები გამონახონ. აღმოჩნდა, რომ სხვა ადამიანები, ვისაც ვეძებთ, იჭერენ ამ კოდებს ქვეცნობიერ დონეზე და უფრო ადვილად მოდიან კონტაქტებსა და დაახლოებაზე.

ჩვენი ჯანმრთელობისთვის

ყურძნის **წითელი ღვინო სასარგებლოა მათთვის, ვინც ნაკლებად მოძრაობს, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს. მათ ცდები თაგვებზე მოაწყვეს: ერთი ჯგუფი პატარა გალიებში მოათავსეს, მეორე — ჩვეულებრივში.** პირველი ჯგუფის თაგვები იტანჯებოდნენ ჰიპოდინამიისგან, მათ არ ჰქონდათ საშუალება ემოძრავათ ნორმალურად, მაგრამ ამ დროს ღებულობდნენ ბუნებრივ ფიტოალექსინს, რომელსაც წითელი ღვინო შეიცავს. ჯანმრთელი თაგვების მდგომარეობა პირველი ჯგუფიდან მთლიანად აღმოჩნდა უკეთესი, ვიდრე იმ თაგვებისა, რომლებიც ცხოვრების ჩვეულებრივი წესით ცხოვრობდნენ.

მეცნიერები ამბობენ, რომ ერთი ჭიქა წითელი ღვინის მოხმარება დღეში სავსებით გამართლებული იქნება ცხოვრებისეული ტონუსის შესანარჩუნებლად, თუმცა, არ გვირჩევენ გადავაჭარბოთ ამ დოზას.

ნალმი მწეველის სახლში

თამბაძოს **კვამლის ნაერთებს, რომლებიც მოწევის შემდეგ ეფინება კედლებს, ავეჯს და ქსოვილებს, შეუძლიათ წარმოქმნან კიბო — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები ბერკლიში ლოურენსის ეროვნული აკადემიიდან.**

მოწევის დროს ჰაერში 4000-ზე მეტი ნივთიერება გამოიყოფა, და მათი დიდი ნაწილი რჩება ავეჯზე, ჰაერთან ერთად არ გამოდის ოთახიდან. ყველა ეს ნივთიერება არა მხოლდოდ ტოქსიკურია, არამედ მათ აქვთ კანცეროგენული თვისებები. ეს სახიფათო ნივთიერებები ყველაზე მეტ გავლენას პატარა ბავშვებზე ახდენენ, ისინი ხომ ყველაზე მგრძნობიარენი არიან გარემობუნების არახელსაყრელი პირობებისადმი.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამ გამოკვლევამ უნდა გამოიწვიოს მოწევის აკრძალვა ნებისმიერ სათავსოში.

როგორ გავილამაზოთ ტანი?

მომრგვალებული **მუცელი სხეულის მასისა და ტანის ტიპის ნებისმიერი ინდექსის დროს ზრდის ბევრი დაავადების განვითარების რისკს, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს.**

1986-დან 2000 წლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო მოსახლეობაში სიკვდილის რისკების 11 ფართომასშტაბიანი გამოკვლევა. 650 ათასი მოზრდილი მონაწილიდან სხვადასხვა მიზეზით 78268 კაცი გარდაიცვალა. მეცნიერებმა გამოავლინეს ზუსტი დამოკიდებულება სხვადასხვა მიზეზის გამო სიკვდილის რისკსა და სხეულის გარშემოწირულობას შორის.

მამაკაცებში, რომელთა მუცლისგარშემოწირულობა 109 სანტიმეტრს ან მეტს შეადგენდა, გარდაცვალების რისკი დაკვირვების 9 წლის განმავლობაში აღმოჩნდა 50 პროცენტით უფრო მაღალი, ვიდრე მათს გამხდარ თანატოლებში. ქალებში მუცლის 94 სანტიმეტრის ზომით სიკვდილის რისკი 80 პროცენტით უფრო მაღალი იყო მათთან შედარებით, ვისი მუცლის შემოწირულობაც 70 სანტიმეტრზე ნაკლები იყო. ყოველი ზედმეტი 2 სანტიმეტრი ტანზე ზრდის გარდაცვალების რისკს 7 პროცენტით მამაკაცებისთვის და 9 პროცენტით — ქალებისთვის.

ინფორმაცია განსჯისათვის

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მტკიცებით, ჩვენი ჯანმრთელობა 50-55 პროცენტითაა დამოკიდებული ცხოვრების წესზე, 20-23 პროცენტით — მემკვიდრეობითობაზე, 20-25 პროცენტით — გარემოს მდგომარეობაზე (ეკოლოგია) და 8-10 პროცენტით — ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის მუშაობაზე.

მიგაჩნიათ, რომ თქვენი ჯანმრთელობა თქვენს ხელთაა?

61 პროცენტი: დიახ, ჩემი ჯანმრთელობა დიდადაა დამოკიდებული ცხოვრების იმ წესზე, რომელსაც მე ვეწევი.

32 პროცენტი: არა, იგი ძირითადად სახელმწიფოში სამედიცინო დახმარების მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

7 პროცენტი: არ ვიცი.

სულ გამოკითხვაში 321 კაცმა მიიღო მონაწილეობა

კვირის ციფრები

37 პროცენტით უმცირდებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებისგან გარდაცვალების რისკი იმ ადამიანებს, ვინც იძინებს დღისით თუნდაც ნახევარი საათით კვირაში 3-ჯერ.

◎ განაწესი დღეების მიხედვით

18 აპრილი (დიდი პარასკევი)



ამ დღეს იესო სასამართლოს გადასცეს, აწამეს, ჯვარს აცვეს და მოკლეს. საეკლესიო წესდება გვირჩევს შევიკავოთ თავი საკვებისგან.

19 აპრილი (დიდი შაბათი)

ამ დღეს ეკლესია იხსენებს იესო ქრისტეს დაკრძალვას და მისი სულის ჩასვლას ჯოჯოხეთში იქ ტანჯულ ცოდვილთა გადასარჩენად. მთელი დღე ტაძრებში მიმდინარეობს სააღდგომო საჭმლის კურთხევა – კულიჩის, კვერცხის,

პასკის. შუაღამისას ეწყობა საზეიმო სააღდგომო სვლა ტაძრის გარშემო. ეკლესია გვთავაზობს ხმელა პურის ჭამას, მშრალზე გადასვლას.

◎ ინფორმაცია

აფხაზმა ე.წ. სამართალდამცავებმა ერთი ქართველი გაათავისუფლეს

სოფელ ხურჩის მკვიდრი ტარიელ ბერია 8 აპრილს სოფელ ხურჩასთან დააკავეს. მას ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთა ბრალდებოდა.

ოჯახის წევრების თქმით, მათ ჯარიმის გადასახდელი თანხა ნათესავებმა შეუგროვეს. 10 000 რუსული რუბლის გადახდის შემდეგ ტარიელ ბერია საკუთარ საცხოვრებელ სახლში გუშინ დილით დაბრუნდა.

◎ დღესასწაული

ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი

20 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ქართველ ერთან ერთად იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.

...დიდ შაბათს, ნაშუაღამევს ქრისტეს საფლავის მცველებმა მოულოდნელად იგრძნეს, რომ მიწა იძვრა და იმ წამსვე დაინახეს ანგელოზი თეთრად ელვარე სამოსელით, რომელმაც საფლავის კარებიდან დიდი ლოდი გადააგორა და იქვე ჩამოჯდა.

ქრისტე აღსდგა!

ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ პირველად მენელსაცხებლე დედებს ეხარათ, დედებმა მსწრაფლ აუწყეს მოციქულებს, მოციქულებმა – თავიანთ სამწყსოებს და აი, უკვე მრავალი საუკუნეა, მილიონობით ადამიანი ხმობს:

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

მაინც რას ნიშნავს უდიდესი საიდუმლოებით მოცული ეს სასწაული, ანუ რა არის მიზეზი ჩვენი ასეთი ბედნიერებისა?

ცნობილია, რომ სამყაროს აქვს მხოლოდ ერთი საწყისი – ყოვლადძლიერი, ყოვლადკეთილი, ყოვლადბრძენი, ყოვლისშემოქმედი ღმერთი – ყოვლადწმიდა სამება, რომელიც ყველგან არის და ყოველთვის აღავსებს მადლითა თვისითა. იგი თავისი მარადიული ნეტარების წიაღისკენ იზიდავს მთელ სამყაროს და ყოველივე ქმნულს, რომელიც, თავის მხრივ, მიისწრაფვის მისკენ და ადიდებს მას.

...„ანგელოზი ღაღადებს, მიმადლებულო წმინდა ქალწულო გიხაროდენ და კვალად გიხაროდენ, ძეი შენი აღსდგა მესამესა დღესა საფლავით და მკვდარნი აღადგინა, ერნო გიხაროდენ! ქრისტე აღსდგა!“

...პირდაპირ მინიშნებას იმის შესახებ, რომ მიმადლებულმა მარიამმა თავისი ძე და უფალი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ იხილა – სახარებაში ვერსად შეხვდებით. მაგრამ წმინდა მამათა ნაწერები და საეკლესიო საგალობლები ამოწმებენ, რომ სხვა მორწმუნეზე უწინ ნახა იგი და გაიხარა აღდგომით მისმა ყოვლადწმიდა დედამ. **„...აღდგომილი მესამესა დღესა საფლავით იხილე რა ძე და ღმერთი შენი, იხარებდით მოციქულთა თანა ღვთივმიმადლებულო, წმინდაო!“**

საეკლესიო გადმოცემა მოწმობს, რომ იესო ქრისტე მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, უწინარეს ყოვლისა ყოვლადწმიდა დედას მოევლინა. გადმოცემითვე გვამცნობს, რომ საფლავად დადების შემდეგ ღვთისმშობელმა მთელი შაბათი და შაბათის წინა დღე საფლავის სიახლოვეს გაატარა, ის არიმათიელის სახლში იმყოფებოდა. აქ აღდგომის შემდეგ მაცხოვარი ყველაზე უწინ ღვთისმშობელს გამოეცხადა.

აღდგომილი მაცხოვარი პირველად იხილა და იცნო ღვთისმშობელმა და იგი მისი მოციქულების მოციქული გახდა. ის პირველად ჩასწვდა აღსრულებული მოვლენების მთელ დიდებულებას: დიდი მიწისძვრა, საფლავთა გახსნა, მზის დაბნელება, მცველების მოკვდინება, ქვის გადაგორება, საფლავის დაცარიელება, ანგელოზის ხარება – ყველაფერი ეს იყო აღსრულება მისი რწმენისა და მოლოდინისა, რომ მკვდრეთით აღდგომილ ძესა და ღმერთს იხილავდა.

...სახარებაში ნათქვამია, რომ, როდესაც იოსებმა ნიკოდიმოსთან ერთად მისი გვამი საფლავში დადო და შესასვლელი ქვით დაფარა, იქ იმყოფებოდა მარიამ მაგდალინელი და სხვა მარიამი (მათე – 27,61). წმიდა მამათა განმარტებით, მახარებელი „სხვა მარიამში“ ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს გულისხმობს. **„აღდგომისა მხილველი ძისა და ღვთისა შენისა მოციქულთა თანაიხარებდ ღვთივმიმადლებულო!“**

P. S. 20 აპრილს დაბადებულ ყველა ადამიანს ვულოცავთ დღევანდელ დღეს!

ბრწყინვალე შვიდეული გრძელდება

მთელი კვირის განმავლობაში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულია. ეს დღესასწაული გრძელდება კვირაცხოვლობის ჩათვლით.

ჩვენ ვადიდებთ მკვდრეთით აღმდგარ უფალს, სადღესასწაულო განწყობაა! ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

...ტრადიციისამებრ, ბრწყინვალე შვიდეულის შაბათს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელზე აგებულ ტაძარში იდღესასწაულება დიდუბობა.

ორშაბათს არის საფლავთა კურთხევა.

ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღეს ვდღესასწაულობთ. სამშაბათსვე აღინიშნება იმ 6000 მოწამეთა ხსენების დღე, რომლებიც გარეჯში ამოწყვიტეს.

დღესასწაულია ოთხშაბათსაც, ამ დღეს მოიხსენიება გრიგოლი სინაელი და ასევე სინას მთაზე მოსაგრე წმინდა მამები.

ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათს კიბისაღმწერელი გრიგოლი სინაელის ხსენების დღეა.

ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევს კი – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის – „წყაროს ცხოვრებისა“ დღესასწაულია.

„წყაროს ცხოვრება“ – ხატის სახელზე აგებული ტაძარი გამოირჩევა თავისი ბრწყინვალებითა და სილამაზით. წყაროზე აგებული ეს ტაძარი ირგვლივ ულამაზესი კვიპაროსებით და ჭადრებით არის გარშემორტყმული... წყაროსთან მისული ავადმყოფები იკურნებიან.

შაბათს, თბილისის სიონში თავად გივი ამილახვრის სულის საოხი ჟამი შეიწირვის.

წირვის შემდეგ მადლმოსილი პურის – „არტოსის“ განტეხვაა, რომელიც შაბათს და კვირას მორწმუნეებს ურიგდებათ; მორწმუნეები ამაღლებამდე ერთმანეთს ახარებენ:

– ქრისტე აღსდგა!

– ჭეშმარიტად აღსდგა!

გიული ლიპარტია

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 23 აპრილს

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ბავშვი ეძახის დედას მე-16 სართულზე: დედაა, დედაა, დედაააა და ბოლოს მთელი ხმით დედაააა, გამოიხედება დედამისი – დედა მამიკოს დაუძახე რა.

* * *

სომეხი წიგნს კითხულობს. პერიოდულად ადგება, სინათლეს გათიშავს და ისევ რთავს.

ცოლმა ჰკითხა: – არმენჩიკ, ეგრე რატომ აკეთებ?

– ვაააა, გადამრევ – გადაფურცვლისას დენი ტყუილად რატომ უნდა დაიწვას.

* * *

– **რატომ** არ მოიყვანე უფროსთან წვეულებაზე შენი ლამაზი ცოლი?

– რა ვიცი, კაცო, თუ რამე მოეწონა, სულ გავცვალოთ, გავცვალოთო იძახის.

* * *

საავადმყოფოში თავგატეხილი პაციენტი მიიყვანეს.

ექთანმა ანკეტის შევსება დაიწყო.

– ცოლიანი ხართ ?

– არა, საავტომობილო კატასტროფაში მოვხვდი.

* * *

– **მოდი** ამ ჭიქით ის ხალხი ვადღეგრძელოთ, ბებია ეფროსინეს ქელეხზე რომ ვერ მოვიდა.

– ბარემ ქელეხიდან რომ ვერ მიდის, იმათი სადღეგრძელოც მიაყოლე, სევასტიჩ!

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24